პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 184 კვირა 12 აგვისტო, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000 მან. № 184

დ ღ ი უ რ ი

— ს. ს. რ. კ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა პროტესტი განუცხადა ბულგარეთის მთავრობას ბულგარეთში მყოფ რუსეთის წითელი ჯვარის მისიის დევნის გამო და დაკმაყოფილება მოსთხოვა.

— რურში სურსათის კრიზისმა იჩინა თავი. კრეფელდში სურსათის კრიზისის გამო მოხდა მუშათა დემონსტრაცია. დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება.

— გერმანიის საზოგადოებრივ წრეებში კუნოს გადადგომას გადაწყვეტილ საკითხად თვლიან.

— რუმინეთში გლეხების აჯანყება დაიწყო.

კავკასიის ცალკე არმიის ხუთი წლის თავისთვის.

14 აგვისტოს სრულდება კავკასიის ცალკე არმიის 5 წლის თავი.

12 აგვისტოს, კვირას, საღამოს 7 საათზე წითელარმიელების ნაწილებში მუშების დელეგატებთან ერთად მართავენ კრებებს. კრებები დანიშნულია შემდეგ ადგილებში:

1. ნავთლუღი—სამხედრო ჰოსპიტალი.
2. არსენალის მთა—საგუშაგო ბათალიონის კლუბი.
3. ავლაბარი—მე-9 პოლკი.
4. მუშათა ცენტრალური კლუბი—მიხეილის პროსპ.
5. პროფკავშირთა საბჭოს კლუბი—„სტელლა".

ყველა ამ კრებებზე საჭიროა გაიგზავნონ მუშათა დელეგაციები, ხოლო პირველმა და მეოთხე რაიკომებმა უნდა მოამზადონ კლუბები, მორთონ დროშებით, დანიშნონ პასუხისმგებელი ხელმძღვანელები, რომელნიც წესრიგს დაიცავენ.

საჭიროა ყველა რაიონებმა კავშირი დაიჭირონ სათანადო ჯარის ნაწილებთან.

კრებებზე მომხსენებლებს გაგზავნის კავკასიის ცალკე არმია.

მისასალმებელი სიტყვებით უნდა გამოვიდნენ კრებაზე დამსწრე—მუშებიც.

ორშაბათს, 13 აგვისტოს, გაიმართება საბჭოს საზეიმო სხდომა.

სამშაბათს, 14 აგვისტოს, დილის 10 ნახ. საათზე გაიმართება აღლუმი თავისუფლების მოედანზე.

იმის გამო, რომ სამშაბათი არ არის უქმე დღე, მუშების მონაწილეობა ამ აღლუმში გამოიხატება რაიონებიდან 150—200 კაცისაგან შემდგარ დელეგაციების გაგზავნაში.

დროშებით და პლაკატებით მუშათა დელეგაციები უნდა შეიკრიბონ პროფკავშირთა საბჭოსთან, საიდანაც მწყობრად გაემართებიან თავისუფლების მოედანზე.

საჭიროა წარმოებებში ჩატარდეს წინასწარი სააგიტაციო კამპანია მოხსენებების სახით.

მომხსენებელი უნდა მოითხოვონ კავკასიის ცალკე არმიის პოლიტგანყოფილებაში.

ტფ. კომიტ. სააგ.-საპრ. განყოფ. გამგე მ. ესხენი.

სახელმწიფო დაზღვევის საკითხის გარშემო

ცეცხლისაგან ქონების სავალდებულო დაზღვევა როგორც საქართველოში, ისე ამიერ-კავკასიაში არის ახალი საქმე.

თებერვლის რევოლიუციამდე საქართველოში არსებობდა როგორც რუსეთის, აგრეთვე საზღვარ-გარეთის სააქციო საზოგადოებები, რომლებიც აწარმოებდენ ქონების დაზღვევას დამზღვევთა სურვილით. დამზღვევთა სააქციო საზოგადოების აგენტები ინიშნებოდენ მხოლოდ დიდ ქალაქებში და კომერციულ ცენტრებში (ტფილისსა, ბათომსა, ქუთაისსა, ფოთსა და სოხუმში) და მუშაობდენ პროცენტებზე. რასაკვირველია, ასეთ პირობებში მუშაობას კისრულობდენ, უმეტეს ნაწილად, სხვა რომელიმე სამსახურში მყოფი პირები.

მათთვის დაზღვევის საქმიდან შემოსავალი შეადგენდა შემთხვევითი შემოსავალს და, რასაკვირველია, ამ საქმეს ემსახურებოდნენ იმდენათ, რამდენათ მისგან გამოელოდენ რეალურ და ნაღდ შემოსავალს. ამისდა მიხედვით მათ მოქმედებაში არ იყო ისეთი მომენტი, რომელიც მათ დააკისრებდა დაზღვევის საქმის ხალხისთვის გაცნობას, არ იყო ისეთი იმპულსი, რომელიც მათ ვალდებულათ ხდიდა დაზღვევის საქმე გადაეტანათ ფართო მასაში—დაბა-სოფლებში, რადგან შორეულ დიდ პერსპექტივებს პატარა ნაღდ შემოსავალს არჩევდენ. მეორე მხრით, მათ არც ქონდათ ეს საშუალება, რადგან ისინი მიბმულნი იყვნენ იმ ქალაქებზე, სადაც ჰქონდათ მუდმივი სამსახური და უმეტეს შემთხვევაში მათი მოქმედება განისაზღვრებოდა საბანკო ოპერაციების მსვლელობით ე. ი. ბანკებში დასაგირავებელ შენობების და ქონების დაზღვევით. ამისდა მიხედვით დაზღვევის საქმე ფართო მასისათვის უცნობი რამ იყო და წარმოადგენდა ვაჭარ-მრეწველების პრივილეგიას.

1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ცეცხლისაგან დაზღვევის საქმე თანდათან მცირდება ერთის მხრით ბანკების ოპერაციების შემოკლების და შემდეგ მოსპობის გამო, და მეორე მხრით იმ მიზეზის გამო, რომ აგენტები დარჩენ მოწყვეტილი თავიანთ საზოგადოებებს და არავინ არ იყო დარწმუნებული, თუ რამდენად შეინარჩუნეს საზოგადოებებმა თავიანთი ქონება და უფლებები.

ამის გამო, 1917 წლიდან დაწყებული 1921 წლამდე, თანდათანობით მცირდება ცეცხლისაგან დაზღვევა იმ წრეებშიც კი, რომელიც აუცილებლათ სთვლიდა ქონების ცეცხლისაგან დაზღვევას. 1920 წლის დამლევს, საქართველოს ყოფილ მთავრობამ განიზრახა ყველა სააქციონერო დამზღვევ საზოგადოებების დახურვა და საერთო დამზღვევ აპპარატის შექმნა, მაგრამ ამ მხრივ 1921 წლამდის შესამჩნევი არა გაკეთებულა რა.

1921 წლს, კომუნისტურ ძალაუფლების დამკვიდრების შემდეგ, სააქციო საზოგადოებების განყოფილებები და სააგენტოები დახურულად და გაუქმებულათ იქნა გამოცხადებული, ქონება გადაეცა და ლიკვიდაცია მიენდო სოზესს. ამის შემდეგ 1922 წ. ოქტომბრამდის ცეცხლისაგან დაზღვევა რესპუბლიკაში სრულიად არ არსებობდა და მხოლოდ ოქტომბერში დაიწყო მოქმედება რუსეთის სახელმწიფო დაზღვევის რწმუნებულის სამმართველომ; 1923 წლის იანვრამდის სწარმოებდა დაზღვევა დამზღვევთა კეთილსურვილით და მხოლოდ 13 იანვარში საქ. კომისართა საბჭოს დეკრეტით იყო დაკანონებული სავალდებულო არაგარდანაკვეთი დაზღვევა კომუნალურ და სახელმწიფო ქონების, რომლებიც ქირის ქვეშ იყვნენ გაცემულნი კერძო პირებსა, არტელებსა, კომუნებსა და კოოპერატივებზე.

1923 წლის 2 ივნისიდან ამიერ-კავკასიის საბ. სახ. კომისართა საბჭოს დეკრეტის თანახმად, შემოღებულ იქნა სავალდებულო გარდანაკვეთი დაზღვევა ცეცხლისაგან ყველა კერძო პირთ კუთვნილი ქონებებისა ამიერ-კავკასიის ქალაქებში.

ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ ცეცხლისაგან დაზღვევის საქმე ქართველ ხალხისათვის უცნობი რამეა. ამისდა მიხედვით ამ პრინციპების პროპაგანდა უნდა იქნეს დაყენებული მეტად ფართო ნიადაგზე, რომ ხალხმა მიიღოს სავალდებულო დაზღვევა არა როგორც ახალი ფორმა გადასახადისა, არამედ როგორც ისეთი საქმე, რომელიც მათ უზრუნველყოფს უბედურ შემთხვევაში. ის უნდა დარწმუნდეს, რომ მის მიერ შეტანილი დასაზღვევი ფული არის მისი რეზერვი, მისი ქონება, რომელიც უბედურ შემთხვევაში მას უკან დაუბრუნდება და უმეტეს ნაწილად ბევრჯერ მეტ სახით, ვიდრე მან შეიტანა.

არსებითად ცეცხლისაგან დაზღვევა დიდი სოციალური საქმეა და როგორც მუშა-მოსამსახურეთა სოციალურ დაზღვევას, ისე ქონებრივი დაზღვევის პროპაგანდას და პოპულიარიზაციას, მისი პრინციპების და შინაარსის ფართო მასისათვის გაცნობას უნდა დაეთმოს ფართო ადგილი.

მასთან მისი საღ ნიადაგზე დაყენება საჭიროებს, რომ ის არ იყოს კერძო პირთა და სააქციო საზოგადოებების მოგების წყაროდ, არამედ ის უნდა იყოს სახელმწიფოს ხელში და, რასაკვირველია, არა როგორც შემოსავლის წყარო, არამედ როგორც ისეთი იარაღი, რომელიც ერთის მხრით უბედურ შემთხვევაში უზრუნველყოფს დაზღვეულებს და მეორე მხრით მისცემს სახელმწიფოს საშვალებას, როგორც მქრობელ რაზმის ტეხნიკურად გაუმჯობესებისათვის, მათი რიცხვის გადიდებისათვის, ისე ცეცხლ-შეუპოვარ მასალების დამზადების საქმის მოწყობის, მისი მნიშვნელობის ფართო მასისთვის გაცნობის და ცეცხლ-შეუპოვარ აღმშენებლობითი კურსების მოწყობისათვის.

დაზღვევის საქმე უნდა იყოს სახელმწიფოს ხელში მაშინაც, როცა ის სრულიად არ იძლევა არაფერ მოგებას. ის უნდა იყოს სახელმწიფოს ხელში ისე, როგორცაა რკინის გზა, ფოსტა, ტელეგრაფი და სხვა.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო დაზღვევას, სჩანს იქიდანაც, რომ ბურჟუაზიულ დასავლეთ ევროპაშიც ის ნაწილობრივ უკვე ტარდება ცხოვრებაში იმის მიუხედავათ, რომ სააქციო საზოგადოებები, რომლებშიც შედიან დიდ გავლენის მქონე კაპიტალისტები, ყოველ ღონეს ხმარობენ ხელი შეუშალონ ამას. მაგალითად, გერმანიაში, პროფესორ პერგამენტის ცნობით, სახელმწიფო დაზღვევა უკვე ურყეველ ნიადაგზე დგას. პატარა შვეიცარიაში, სადაც მოქალაქობრივ უფლებების კოდექსი მეტად მაღლა დგას, მთელ რიგ კანტონებში სახელმწიფო დაზღვევა გატარებულია უკვე. იტალიაში შემოღებულია სახელმწიფო მონოპოლიური დაზღვევა სიცოცხლის.

ურაგვაის რესპუბლიკაში შემოღებულია მონოპოლიური სახელმწიფო დაზღვევა ყველა დასაზღვევ დარგებში.

საფრანგეთში კიდევ 1909 წელში იყო შეტანილი პარლამენტში კანონ-პროექტი დაზღვევის საქმის მონოპოლიზაციის შესახებ სახელმწიფოს მიერ, მხოლოდ ეს კანონ-პროექტი არ იყო დაკანონებული. მთავარი მიზეზი ამისა იყო ის, რომ არსებულ სააქციო საზოგადოებების ქონების გამოყიდვა ითხოვდა მეტად დიდ თანხას.

სახელმწიფო დაზღვევის იდეა არ იყო უცნობი ძველი რუსეთისათვისაც. ყოფილ პოლონეთის სახელმწიფოში არსებობდა სავალდებულო დაზღვევა.

შიგა რუსეთში, სადაც ერობები არ იყო, არსებობდა სოფლის შენობების და სასულიერო შენობების სავალდებულო დაზღვევის წესები. გარდა ამისა გერმანელებთან ომის დროს, როგორც სახელმწიფო სათათბირო, ისე შინაგან სამინისტრო დაინტერესდენ სახელმწიფო დაზღვევის პროექტით.

მეცნიერებაშიც ჰყავს სახელმწიფო დაზღვევის იდეას თავისი დამცველები როგორიც არიან ადოლფ ვაგნერი, ემინგაუზენი, პროფესორი პერგამენტი და სხვანი.

ზემო აღნიშნულის მიხედვით, აუცილებელი საჭიროა სახელმწიფო დაზღვევის საქმეს საქართველოში და ამიერ-კავკასიაშიაც მიექცეს საჭირო ყურადღება როგორც მთავრობის, აგრეთვე პარტიის და პროფკავშირების მიერ და ახლად დაწესებულ დიდ სოციალურ საქმეს ამოეშენოს შეურყეველი საძირკველი.

ა. კ.

კაპიტალისტურ სახელმწიფოების და საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტი

როდესაც ვაშინგტონში შესდგა განიარაღების კონფერენცია, სანტიმენტალურმა ბურჟუაზიულმა პაციფისტებმა გადასწყვიტეს, რომ დადგა ოქროს საუკუნე. გონების გაბატონება წინაღუდგება მომავალში ომების წარმოშობას, რითაც თავიდან იქნება აცილებული ძალმომრეობა. კონფერენციის დადგენილებებს ჰქონდათ, რასაკვირველია, ორი ნაკლი. თვითეულ ხალხს უფლება დაუტოვეს აეშენებია როგორც მას სურდა წყალ-ქვეშა გემები, ხოლო საკითხი საფრენი აპარატების შესახებ თითქმის არც კი იყო აღძრული. ორთავე ამ ნაკლმა საშუალება მისცა კაპიტალისტურ მთავრობებს განეახლებიათ თავიანთი მეთოდები ომის წარმოებისათვის. ეხლა უკვე ჯავშნოსნები დიდი ხნით მივიწყებული იქნენ ცდამ, რომელიც მოახდინეს ჯავშნოსან „ოსტლანდ"-ზე, დაამტკიცა, რომ ჰაეროპლანს შეუძლია გაანადგუროს ყოველგვარი გემი, რომელიც იქნება წყლის ზედაპირზე. ამით აიხსნება ის საოცარი სიჩქარე, რომლითაც დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოები აკეთებენ თავიანთ საფრენ აპარატებს. ეს ერთი ხანია, საფრანგეთი ამ მხრივ წინ მიდის. ის დღეს სერიოზულად ემუქრება არა თუ ინგლისის ბატონობას ევროპაში, არამედ აგრეთვე ბრიტანეთის კუნძულების მშვიდობიანობასაც. 1922 წლის 1 იანვრიდან პირველ ნოემბრამდე საფრანგეთმა გააკეთა 33 00 საფრენი მანქანა სამხედრო და, ეგრეთ წოდებულ „სავაჭრო" მიზნებისათვის და აგრეთვე მომავლისათვის მას შეკვეთილი აქვს 1.200 საფრენი მანქანის გაკეთება.

საფრანგეთის საჰაერო ფრენოსნების პროგრამა 1923 წლისათვის მოითხოვს 220 საჰაერო ესკადრილიის აშენებას, ესე იგი 1923 წლის დასასრულს საფრანგეთის საჰაერო ფლოტი უნდა შესდგებოდეს 6700 ჰაეროპლანიდან.

ამ გიგანტიურმა პროგრამამ შეაშფოთა ბრიტანეთის მთავრობა. მან გადასწყვიტა ინგლისის საჰაერო ფლოტი 34-ტან აიყვანოს 52 ესკადრილიამდე. ეს ნიშნავს თითქმის 27 მილიონი გირვანქა სტერლინგის დახარჯვას მიმდინარე საბიუჯეტო წელიწადში. შეერთებული შტატების მთავრობამ განაცხადა, რასაკვირველია, რომ, მიუხედავათ ინგლის-საფრანგეთის გაძლიერებული საჰაერო შეიარაღებისა, ის არ გაადიდებს საჰაერო ფრენოსნობის ბიუჯეტს

იმპერიალისტური სახელმწიფოები დიდათ არ ცდილობენ ციფრობრივი ცნობების გამოქვეყნებას თავიანთ საჰაერო ფლოტის შესახებ.

ცხადია, რომ საფრენი მანქანების დამალვა ადვილია იმ მიზნით, რომ ასეთები გამოჩენილ იქნენ ომის გამოცხადების დროს. აგრეთვე ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ გამოქვეყნებული ოფიციალური ციფრები ცალკე საჰაერო ფლოტების რაოდენობის შესახებ სიმართლეს შეიცავდენ. ამის მიუხედავად, თვითეული სახელმწიფო აშენებს იმდენ საფრენ მანქანებს სავაჭრო მიზნებისათვის, რამდენიც მას შეუძლია თითქმის ყველა სახელმწიფოში მოიპოვება უკვე საჰაერო მიმოსვლის ხაზები, რომლებიც სავსებით ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას. მაგრამ უკვე სავსებით დამტკიცებულია ის ჭეშმარიტება, რომ ეგრეთ წოდებული „სავაჭრო" აპარატები განსხვავდებიან სამხედროსაგან მხოლოდ საღებავის ფერით.

ყველა საფრენი აპარატები, რომლებიც ეხლა ემსახურებიან სავაჭრო მიზნებს და მიმოსვლას, შეიძლება საბრძოლველ ერთეულებად გადაიქცენ და ომის გამოცხადების დროს გაჩნდენ საზღვრებზე და ფრონტზე.

რა უნდა ჰქნას საბჭოთა კავშირმა ასეთ მსოფლიო მდგომარეობის დროს, იმ დროს, როდესაც იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობენ პატარა ერების ჩათრევას ახალ ავანტიურებში, როდესაც ბალკანეთი კვლავ ხდება ომის საფრთხის კერათ, როდესაც ბულგარეთში, ინგლისის თანხმობით, ძალა-უფლება გადავიდა ფაშისტური მთავრობის ხელში და იგივე ბედი მოელის ჩეხო-სლოვაკიას? როდესაც ყოველგან შეუბრალებლად სდევნიან პროლეტარიატის რევოლიუციონურ ნაწილს, ეს ხდება იმისათვის, რომ თავისუფალი გასაქანი მიეცეს რეაქციონერებს და ფაშისტურ მთავრობებს, რომელთაც მიუძღვით 10,000 000 კაცის გაჟლეტა მსოფლიო ომში და ასეული ათასი მუშების დახოცვა კონტრ-რევოლიუციონური ბრძოლის დროს.

ასეთ პირობებში საბჭოთა კავშირს დარჩენია მხოლოდ ერთი: მოაწყოს საჰაერო ფლოტი, რომელიც შესძლებს წინააღმდეგობის გაწევას მსოფლიოს უძლიერეს ფლოტისათვის. საბჭოთა კავშირს, რომელიც გარშემორტყმულია ირგვლივ მტრებით, თუნდა მოეპოვებოდეს ისეთი ფლოტი, რომელიც ქედს მოახრევინებს ყველა ყაჩაღურ მთავრობებს.

ჰაერში მრისხანეთ შეკუმშული მუშტი, მორთული საბჭოთა ვარსკვლავით უნდა წარმოადგენდეს საშიშროებას ყველა იმ ყაჩაღურ და სისხლის მსმელ მთავრობებისათვის, რომლებიც გამოილაშქრებენ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ.

რა განსხვავებაა მუშათა მთავრობის და იმპერიალისტურ სახელმწიფოების საჰაერო ფლოტებს შორის?

კაპიტალისტების საჰაერო ფლოტი არსებობს პატარა ერების დასაბეჩავებლად, კოლონიალურ ხალხთა შევიწროების გასაძლიერებლად, რომლებიც ეხლა, 100 წლის ექსპლოატაციის შემდეგ, გამოვიდნენ განმანთავისუფლებელ ბრძოლის გზაზე; კაპიტალისტების საჰაერო ფლოტი მიზნად ისახავს რუსეთის საბჭოთა მთავრობის დამხობას; კაპიტალისტების საჰაერო ფლოტის მიზანია ჩაახშოს მუშების ყოველგვარი ცდა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მუდმივ მოწოლისა და გაჭირვებისაგან გამოსასვლელად. კაპიტალისტების საჰაერო ფლოტს უნდა ჰყავდეს მუშათა მასები მორჩილებასა, სიმშილობასა და უმუშევრობაში. კაპიტალისტების საჰაერო ფლოტმა უნდა გაბატონოს ექსპლოატაციის მსოფლიო რეჟიმი.

საბჭოთა მთავრობის საჰაერო ფლოტი კი, პირიქით, ემსახურება საბჭოთა რესპუბლიკების მშვიდობიანობას. საბჭოთა მთავრობის საჰაერო ფლოტი დაიცავს რევოლიუციას, ხელში მისცემს წითელ არმიას ახალ, ძლიერ იარაღს; ის მოაგონებს სისხლისმსმელ კაპიტალისტურ მთავრობებს, რომ შემდეგში აღარ შეიძლება სუსტი ერების ყვლეფა ახალშენებში. საბჭოთა მთავრობის საჰაერო ფლოტი მოაგონებს კაპიტალისტებს, რომ მუშების საერთაშორისო ბრძოლაში ექსპლოატატორების წინააღმდეგ, პროლეტარიატს ჰყავს რუსეთის სახით უძლიერესი მეგობარი.

ვაშინგტონის განიარაღების კონფერენციამ ვერ შესძლო განიარაღება. რუსეთის საბჭოთა მთავრობა არ იყო მიწვეული ვაშინგტონში. გენუაში საბჭოთა მთავრობამ მოსთხოვა მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს ნამდვილი განიარაღება, მაგრამ კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა ამას ყურადღებაც არ მიაქციეს.

დიახ, მათ სხვაგვარად არც შეეძლოთ მოქცევა, რადგანაც მათი ხელისუფლება ემყარება ძალადობაზე. დეე, ასე იყოს! ჰაერში მრისხანეთ შეკუმშული მუშტი—საბჭოთა მთავრობის ფლოტი—ღებულობს ყაჩაღურ მთავრობების გამოწვევას.

ი. ა.

ინგლის-საფრანგეთის დავა გერმანულ ნადავლის გარშემო

დიდი ხანია, რაც ვიქტორ კამბონი (საფრანგეთის ცნობილი დიპლომატი) გულდასმით ადევნებს თვალს ევროპის ეკონომიურ მოვლენებს და თავს იტყუებს იმედით, რომ ის ობიექტიურათ მსჯელობს მეთოდიურ და გულმოდგინე გერმანიის შესახებ. ამას წინეთ ამ გონიერმა ადამიანმა დააყენა „ენფორმასიონში" კითხვა: რატომ ილაშქრებენ ამერიკელნი და ინგლისელები იმის წინააღმდეგ, რომ პუანკარემ და საფრანგეთის კაპიტალისტთა ხროვამ „შინაურულათ" განმტკიცდეს რურის ოლქში? ეს კითხვა გადამწყვეტია იმ მომენტში, როდესაც ლამანშის ორივე მხრით დიპლომატები ზვერაგად ერთმანეთს და პროვოკაციას ეწევიან ურთიერთ წინააღმდეგ, როდესაც ისინი იმუქრებიან შესწყვიტონ უკანასკნელი სუსტი ძაფები, რომლებიც ჯერ კიდევ აერთიანებენ ინგლისსა და საფრანგეთს.

კამბონის აზრით, ამის ახსნა ძალიან ადვილია. მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისელები და ამერიკელები აგზავნიდენ გერმანიაში დიდძალ სურსათსა და ნედლ მასალას. გერმანელ მრეწველებს კი გერმანულ ვალიუტის დაცემის გამო არ შეეძლოთ სავსებით დაეკმაყოფილებიათ თავისი კრედიტორები. შემდეგ ამერიკელებმა და ინგლისელებმა ნაწილობრივათ ხელთ იგდეს ქარხნები, მაღაროები, მადნეულობა, სავაჭრო ფლოტი და საზოგადოთ, გერმანიის მთელი ქონება; ამ გვარათ ინგლის—ამერიკისა და ნეიტრალურ ქვეყნების ბანკირების ინტერესები მჭიდროთ არიან დაკავშირებული გერმანელ კაპიტალისტების ინტერესებთან. ამ მიზეზით ინგლისელებსა და ამერიკელებს არ სურთ საშუალება მისცენ საფრანგეთსა და ბელგიას იმ ღირებულებების ხელში ჩაგდებისათვის, რომლებიც უმთავრესათ მათ ეკუთვნის.

იმ დროს, როდესაც ინგლისისა და ამერიკის სამრეწველო და საფინანსო ტუზები კავშირს აბავენ გერმანელ კაპიტალისტებთან,—უკანასკნელნი მარჯვეთ აბანდებენ თავიანთ კაპიტალს ლონდონსა, ნიუ-იორკსა და ნეიტრალურ ქვეყნებში. ამგვარათ იმათიცა და ამათი ინტერესები სულ უფრო და უფრო მჭიდროთ უახლოვდებიან ერთმანეთს. აქედან კამბონს შემდეგი დასკვნა გამოყავს: რა მნიშვნელობა აქვს კიდევ ამ ფაქტების პირის წინ ყოველგვარ კონფერენციებს, ნოტების გაცვლა-გამოცვლას, ყველა იმ სიტყვებს, რომლებსაც წარმოსთქვამენ ხოლმე დაღუპულ მეომართა საფლავის ძეგლებთან? ყოველ კვირას ხან საფრანგეთის და ხან ინგლისის ოფიციალური პირები ზეიმით ხსნიან ოთხი წლის განმავლობაში დაღუპულ უბედურ ჯარისკაცთა ახალ ძეგლებს.

რა ხმაურიანი კომედია იმართება ყოველთვის, როდესაც ყოველ ასეთ გახსნაზე გაისმის ხმები სულ იმავე იარაღის გმობაზე და ერთად დაღვრილ სისხლის სამართლიანობის შესახებ!

ამ გაერთიანებულ ჯგუფების დაპირდაპირებაა ბალდვინისა და პუანკარეს უთანხმოების მიზეზი. როდესაც პუანკარე აყენებს თავის მოთხოვნილებებს, იგი ხვდება ყოველთვის ენერგიულ წინააღმდეგობას გერმანიასა და ინგლისის მხრით. მაგრამ გაგრძელდება თუ არა ეს წინააღმდეგობა მუდამ? არ შეიძლება განა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს ყაჩაღები შეთანხმდენ ერთმანეთთან გერმანელ მუშების ზურგზე? მაგრამ არსებობს კიდევ მესამე შესაძლებლობა: სახელდობრ, გერმანიის პროლეტარიატი უნაყოფოთ გადააქცევს კაპიტალისტების დავას მით, რომ ხელში ჩაიგდებს იმ სიმდიდრეს, რომლისთვისაც ჩხუბობენ ურთიერთ შორის ყველა ქვეყნის ექსპლოატატორები. ამაში მდგომარეობს საკითხის ჭეშმარიტი გადაწყვეტა, რომლისთვისაც მთელის თავის ღონით მუშაობენ გერმანელი კომუნისტები. გადამწყვეტ მომენტში საფრანგეთის მუშებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ისინი სრულიად ეთანხმებიან გერმანელ სოციალისტებს და რომ საერთაშორისო სოლიდარობა არ არის უკვე მხოლოდ ცარიელი სიტყვა.

მარსელ კაშენი.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას" ცნობები)

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

ს. ს. რ. კ. და სამხრეთ სლავია.

რომი. „ჯორნალე დ იტალია" იტყობინება, რომ სამხრეთ-სლავიის ელჩი ოდესაში სუპიჩიჩი გაწვეულია ბელგრადში დაწვრილებით მოხსენების გასაკეთებლათ საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ, ეს გაწვევა დაკავშირებულია საბჭოთა მთავრობის ცნობასთან ბელგრადის მთავრობის წრეებში ფიქრობენ, რომ ბუპიჩიჩის მიერ ჩატანილმა ცნობებმა შესაძლებელი გახადეს მოლაპარაკების დაწყება ბელგრადსა და მოსკოვს შორის, რომელიც ნიადაგს მოამზადებს ს. ს. რ. კ. ცნობისათვის.

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

ს. ს. რ. კ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის განცხადება.

მოსკოვი. 9 აგვისტო. იმის გამო, რომ აქამდის მიღებული არ იქნა ინგლისის მთავრობის პასუხი გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის განმარტებაზე ამხ. რაკოვსკის გარშემო მომხდარ ინციდენტის შესახებ, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ინგლისის წარმომადგენლის წინაშე მოსკოვში გაკვირვება გამოსთქვა იმის გამო, რომ აქამდის მიღებული არ არის ასეთი პასუხი. პიტერსს ერთხელ კიდევ დაუმტკიცეს „მორნინგ პოსტის" გამოსვლის უსაფუძვლობა რაკოვსკის ანგლოფობობის შესახებ და ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას რომ უპასუხისმგებლო გამოსვლების მიხედვით უკან წაღება ერთხელ მიცემულ თანხმობისა რაკოვსკის სრულუფლებიან წარმომადგენლათ დანიშვნის შესახებ, სრულებით არაჩვეულებრივი მოვლენაა.

საბჭოთა კავშირი და ბულგარეთი

ამხ. ჩიჩერინის საპროტესტო ნოტა.

მოსკოვი. 10 აგვისტო. ამხ. ჩიჩერინმა გაუგზავნა ბულგარეთის პრემიერს ცანკოვს საპროტესტო ნოტა ბულგარეთის ხელისუფლების მიერ რუსეთის წითელი ჯვრის მისიის და რეპატრიაციის მუშაკთა და თვით რეპატრიანტების დევნის გამო.

ნოტაში აღნიშნულია, რომ რუსეთის წითელი ჯვრის რწმუნებული პლევნაში ამხ. შელეპუგინი, რომელიც მოკლულ იქნა გამოურკვეველ პირობებში, სიკვდილის წინ აწამეს. მეორე რწმუნებულს მოროზოვს, სასიკვდილოთ სცემეს. დაპატიმრებულია სრულიად რუსეთის სასოფლო სამეურნეო გამოფენის კომიტეტის წარმომადგენელი მუძანკო. დაპატიმრებული და ნაცემი არიან „სამშობლოში დაბრუნების კავშირის" მრავალი უპარტიო წევრები. ნოტა ხაზს უსვამს, რომ ბულგარეთის პრესის ზოგიერთი ცნობების თანახმად დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ბულგარეთის ხელისუფლებამ, ხელში ჩაიგდო რა მან წითელი ჯვრის მისიის კანცელარია და არქივები, აპარებს მათში ყალბ დოკუმენტებს, რათა დაასაბუთოს ცილისწამების კამპანია საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ.

ნოტა პასუხისმგებლობას აკისრებს ბულგარეთის მთავრობას და მოითხოვს: 1) გუძენკოს და სხვების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, 2) სრულ დაკმაყოფილებას ბოდიშის მოხდის და კომპენსაციების სახით, 3) ბულგარეთის თანამდებობის პირთა დასჯას რუსეთის მოქალაქეთა დევნისათვის. 4) ბულგარეთში მყოფ რუსეთის თეთრგვარდიელთა დასჯას და განდევნას.

ნოტა აღნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთში მცხოვრები ბულგარელი მოქალაქეები სარგებლობენ მშვიდობიანი შრომის პირობებით, მიუხედავათ მათი პარტიული შეხედულებათა და პოლიტიკურ სიმპატიებისა. ბულგარეთის მთავრობა პასუხისმგებელია, თუ საბჭოთა მთავრობა იძულებული იქნება, თავის სურვილის წინააღმდეგ, რეპრესიები იხმაროს რუსეთში მცხოვრებ ბულგარელების მიმართ. გარეშე საქმეთა სახ. კომისარი მთელი მსოფლიოს წინაშე აცხადებს პროტესტს ბულგარეთის მთავრობის და რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერების პროვოკაციულ მოქმედებათა წინააღმდეგ.

გერმანიის ამბები

კუნოს გადადგომა აუცილებელია.

პარიზი. ბერლინიდან იუწყებიან, რომ რეიხსტაგის წრეებში დიდი მღელვარება მეფობს იმ გარემოების გამო, რომ სოციალ-დემოკრატები უარს აცხადებენ კაბინეტისადმი უნდობლობის შესახებ შეტანილ წინადადების უკან დაბრუნებაზე. ბერლინის გაზეთების აზრით კუნოს გადადგომა აუცილებელია. პარტიათა ლიდერებმა გამართეს თათბირი, რომელზედაც განხილული იყო საკითხი ახალ ფართო კოალიციურ კაბინეტის შედგენის შესახებ, რომლის სათავეში შტრეზემანი დგომიბა. შტრეზემანი—საფრანგეთთან უშუალო შეთანხმების მომხრეა. გუშინ შტრეზემანმა პრეზიდენტი ებერტი ინახულა.

ბერლინი, 9 აგვისტო. ბერლინის გაზეთები კუნოს სიტყვას ცივათ შეხვდენ, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, სცდილობენ ხაზი გაუსვან კუნოს „სიმპატიურ" მხარეებს, იმ მიზნით, რომ მიიმხრონ საზოგადოებრივი აზრი კუნოს შემდეგი ყოფნისათვის კანცლერის თანამდებობაზე. როგორც სჩანს მთავრობის კრიზისი ამ ჟამად არ არის ხელსაყრელი პარტიების უმრავლესობისათვის. მარკის დაცემისა და სიძვირის კატასტროფიულ ზრდის გამო, განზრახულია მსხვერპლათ იქნან შეწირული კუნოს კაბინეტის ზოგიერთი წევრები. გაზეთები მოითხოვენ სახალხო მეურნეობის მინისტრის ბეკკერისა და ფინანსთა მინისტრის გერმესის გადადგომას.

არ უნდათ დაინახონ სინამდვილე

ბერლინი, 9 აგვისტო. გაზეთები სცდილობენ დაახასიათონ ქარხნების დელეგაციების მისვლა რეიხსტაგში კუნოს გადადგომის მოთხოვნილებით, და აგრეთვე ამ მოთხოვნილებასთან დაკავშირებული იტალიანური გაფიცვის გამოცხადებით ზოგიერთ ქარხნებში, როგორც „კომუნისტური ხრიკები".

გადასახადებით სურთ უშველონ საქმეს.

ბერლინი. 9 აგვისტო. რეიხსტაგის საგადასახადო კომისიამ მიიღო მთავრობის წინადადება გადასახადების გადიდების შესახებ. განზრახულია აგრეთვე განსაკუთრებული გადასახადის შემოღება მწარმოებლებზე და მემამულეების მიწის სივრცეზე. ზოგიერთი გაზეთები, მათ რიცხვში „ლოკალ ანცეიგერ"-ი აფრთხილებენ მთავრობას და ურჩევენ მას ნუ შემოიღებს მეტისმეტათ მაღალ გადასახადებს.

ფრაქციების თათბირი.

პარიზი. რეიხსტაგის სხდომის შემდეგ, მთავრობამ გამართა თათბირი ყველა ფრაქციების წარმომადგენლებთან მთავრობის ახალი ფისკალური პროექტების შესახებ. სოციალ-დემოკრატებმა განუცხადეს მთავრობას, რომ პირველყოვლისა მთავრობამ უნდა მიიღოს ისეთი ფისკალური ზომები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნება მარკის კურსის დაცემის შეჩერება.

ინციდენტი რეიხსტაგში.

პარიზი. რეიხსტაგის უკანასკნელ სხდომაზე ცენტრის დეპუტატები მოითხოვდენ იმ ზომების დაუყონებლივ გატარებას, რომლებიც აღნიშნული არიან მხარის ეკონომიური აღორძინების პროგრამაში. ნაციონალისტების ლიდერი სტრეისმანი მოითხოვდა მთავრობისაგან პასიური წინააღმდეგობის გაგრძელებას რურში და აღნიშნავდა, რომ გერმანიის ქედის მოხრა საფრანგეთის წინაშე ქაოსში გახვევს სახელმწიფოს. ნაციონალისტი ხერცი მოითხოვდა პასიური წინააღმდეგობის გაძლიერებას და გერმანიიდან მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის გადასახლებას. კამათის დროს რეიხსტაგთან მივიდა რეინლანდის მუშების დელეგაცია, რომელმაც მოითხოვა მისი დაშვება სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად. ამას მოჰყვა მღელვარე ინციდენტი, რომლის დროს კომუნისტმა კენენმა განაცხადა, რომ რეინლანდის მუშების დელეგაცია მოვიდა იმისათვის, რომ გარეკოს ნაციონალისტები. წესრიგის აღდგენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ პოლიციის ჩარევის შემდეგ.

საკონტრიბუციო საკითხი

ბელგიის შუამავლობა.

რომი. 10 აგვისტო გაზ. „ექსცელსიორ"-ი იუწყება, რომ ბელგიის მთავრობას განზრახვა აქვს შუამავლობა იკისროს ლონდონისა და პარიზის მოსარიგებლად. ამ მიზნით ბელგიის მთავრობას განზრახვა აქვს წინადადება შეიტანოს, რათა გერმანიას მოსთხოვონ მხოლოდ იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც დასჭირდება დანგრეულ ოლქების აღდგენას, იმ პირობით, რომ ბელგიამ, საფრანგეთმა და ინგლისმა გააბათილონ საკავშიროთაშორისო ვალები და გერმანიას მოსთხოვონ მხოლოდ ის თანხები, რაც ხსენებულ სახელმწიფოთაგან ამერიკისათვის გადასახდელ ვალების გასტუმრებას დასჭირდება.

ზეგავლენა საფრანგეთზე.

პარიზი. როგორც პარიზელი გაზეთები იუწყებიან, ამერიკის ელჩმა პარიზში ინახულა საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი, რომელსაც მიუთითა საერთაშორისო ვალების საკითხის სწრაფი გადაწყვეტის სასურველობაზე. ფიქრობენ, რომ ეს ნაბიჯი გადადგმულია ლონდონის კაბინეტთან შეთანხმებით, რათა საფრანგეთი იძულებული გახდეს მეტი დათმობა გამოიჩინოს რურის საკითხში.

საფრანგეთ-ბელგიის უთანხმოება.

რომი. „ჯიორნალე დ'იტალია" არკვევს იმ სერიოზულ უთანხმოების მიზეზებს, რომელიც ისახება საფრანგეთ-ბელგიის ურთიერთობაში. ბელგიისათვის, როგორც აგრეთვე, ინგლისისათვისაც, საგარეო ვაჭრობის საკითხებს მეტი მნიშვნელობა აქვს ვიდრე საფრანგეთისათვის.

რურის ოკუპაციამ დიდი ზიანი მიაყენა ანტვერპენის წარმატებას. გარდა ამისა ბელგია ყველაზე უფრო მეტად დააზიანა გერმანიის შემოსევამ და ამიტომ რურის ოკუპაციის ხარჯები გაცილებით უფრო მძიმეთ აწვება მის ბიუჯეტს, ვიდრე საფრანგეთისას. ამასთანავე, წინააღმდეგ საფრანგეთისა, ბელგია არ არის გაჟღენთილი მილიტარისტულ პოლიტიკის ტრადიციებით და მისი მთავრობის მდგომარეობა მერყევია იმ მუდმივ შინაგან უთანხმოების გამო, რომელსაც განიცდის ბელგიელი მოსახლეობა. „ჯიორნალე დ'იტალია" ყოველივე ამის გამო გამოსთქვამს რწმენას, რომ ბელგია მხოლოთ მანამდე მიჰყვება საფრანგეთს, ვიდრე უკანასკნელი აშკარა და საბოლოო კონფლიქტს არ გამოიწვევს ინგლისის პოლიტიკასთან. იმ დღეს როდესაც გაწყდება უკანასკნელი ძაფები ლონდონსა და საფრანგეთს შუა, საფრანგეთ-ბელგიის სოლიდარობაც გაქარწყლდება.

რურის საკითხის კომპრომისული გადაწყვეტა.

რომი. იტალიელ გაზეთების ცნობით ბრიუსელში მზადდება რურის საკითხის კომპრომისულ გადაწყვეტის პროექტი: არის წინადადება დროებითი ზავისა, რომლის დადების დროს უნდა გატარდეს ეგრე წოდებული „უხილავი ოკუპაცია", რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ საფრანგეთ-ბელგიის ჯარები თავს შეიკავებენ ადგილობრივ ხელის უფლების მიმართ რაიმე ძალდატანებითი მოქმედებებისა და შერევისაგან, შემდეგ კი სარეპარაციო საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, საბოლოო ოკუპაცია მოხდება.

ინგლისის ნოტა.

ლონდონი. ორშაბათს გამოქვეყნებული იქნება პრესაში ინგლისის პასუხი საფრანგეთისა და ბელგიის ნოტებზე, რომელიც გადაეცემა საფრანგეთისა და ბელგიის ელჩებს ლონდონში დღეს. ნოტაში აღნიშნულია ის მდგომარეობა, რომელიც შეიქნა რურის ოკუპაციისა და საკონტრიბუციო საკითხის მოუგვარებლობის გამო. ამ საკითხების გარდა, ნოტაში მოყვანილია ინგლისის პოზი-

„საჭიროა გარკვეულობა"

„იზვესტია"-ს წერილი.

მოსკოვი. 10 აგვისტო. „იზვესტია" მეთაურში „საჭიროა გარკვეულობა" სწერს: „საკითხი ამხ. რაკოვსკისათვის ნებართვის მიცემის შესახებ ინგლისში შესასვლელათ, ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. ინგლისის მთავრობა დაჟინებით სდუმს და ამით კიდევ უფრო ართულებს შექმნილ მდგომარეობას. დაშვებულია ინგლისის იმპერიალიზმის მეომარ ჯგუფის საძაგელი გალაშქრება, საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში დაუშვებელი ჩვენი წარმომადგენლის პიროვნებაზე მსჯელობა ინგლისის პარლამენტში, თუმცა შინაგან საქმეთა მინისტრმა და აგრეთვე პალატის თავმჯდომარემ განმარტეს, რომ ასეთი შეკითხვები ინგლისის პარლამენტში დაუშვებელიაო. ვერავინ ვერ აიძულებს ამხ. რაკოვსკის ყოველდღიურათ ილოცოს მეფე გეორგის ან და ლორდ კერზონის დღეგრძელობისათვის. რაკოვსკის მისი მშვიდობიანობის მოყვარულობით გენუაში მოღვაწეობის დროს კარგათ იცნობს ბრიტანეთის მთავრობა. სამწუხაროთ, ბრიტანეთის მთავრობა, კეთილგონიერებისა და თავის ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოთ, პროვოკაციას აყვა.

პარლამენტში გათამაშდა კომედია იმავე დიპლომატების ნოტების მიხედვით, რომელთაც რუსეთ-ინგლისის შეთანხმების დარღვევა სურდათ ულტიმატუმის საშუალებით და რომელიც პარლამენტის მიერ არ იქნა მოწონებული. ისინი ეხლა ახალ ავანტიურას ამზადებენ ყოველ დღე კინკლაობა და რაკოვსკის ვიზის შეჩერება არღვევს ჩვენს ურთიერთ მუშაობას მთელ რიგ საკითხების შესახებ, რომელნიც წამოყენებულნი არიან ინგლისისა და რუსეთის ხალხების დაახლოვების სურვილით. ასეთი დემონსტრაციებით ბრიტანეთის მთავრობას რუსეთის ხალხში სიძულვილისა და მტრობის გრძნობა შეუძლია მხოლოდ გამოიწვიოს. ინგლის-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობა არა თუ შესაძლებელია ჩაშლილი იქნეს, არამედ მისი ინიციატივა შეიძლება იმათ ხელში გადავიდეს, რომელნიც ანგარიშს არ უწევენ ავანტიურისტულ შეკითხვებს და მიილტვიან რუსეთში მშვიდობიანობისა და საერთო მუშაობისათვის.

ინგლისისა და რუსეთის ხალხების დაახლოვების ინტერესებისათვის ჩვენ დაბეჯითებით მოვითხოვთ ბრიტანეთის მთავრობისაგან საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ გამოსვლების შეწყვეტას და გარკვეულობის შეტანას ორივე სახელმწიფოს ურთი-ერთ დამოკიდებულებაში".

ყოფილ მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობა.

ყოფილ მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობის მომწვევი საინიციატივო ბიურო,

რომელიც არჩეულია ტფილისში, ქუთაისში და ოზურგეთში გამართულ კონფერენციებზე,

აცხადებს ყველა ადგილობრივ საინიციატივო ბიუროების საყურადღებოთ, რომ **ყოფილ მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობა მოწვეული იქნება ტფილისში 22 აგვისტოს.**

დღის წესრიგი ცალკე იქნება გამოქვეყნებული.

საინიციატივო ბიუროები ყველა ადგილებიდან, სადაც კონფერენციები გაიმართა, უნდა გამოცხადდენ სათანადო მასალებით და დელეგატების სიებით 21 აგვისტოს არჩეულ დელეგატების სწორი რიცხვის გამოსარკვევად და ყრილობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საორგანიზაციო ხასიათის საკითხების გადასაჭრელად.

იმ ადგილებმა, სადაც კონფერენციები არ დამთავრებულა, უნდა დააჩქარონ, რათა აღნიშნულ ვადაზე წარმოგზავნონ დელეგატები.

საინიციატივო ბიურო: ა. ფარნიევი. ჟუმბურიძე, შენგელია, რუხაძე, კაიტანჯიანი, სიხარულიძე, დუკაშევიჩი, ძორიძე, თედოშვილი, ვაჩარაძე, გნოევოი, ალიხანოვი. მიკირტუმოვი, ლოლობერიძე.

ცია მოკავშირეთა ვალების საკითხში. რურის კონფლიქტის შესახებ, ნოტაში გარჩეულია ოკუპაციის კანონიერების საკითხი და მოცემულია პასუხები ყველა იმ მუხლებზე, რომელნიც აღნიშნული იყვენ საფრანგეთისა და ბელგიის უკანასკნელ ნოტებში.

დოკუმენტების გამოქვეყნება.

ლონდონი. ინგლისის პასუხის გამოქვეყნებასთან, ერთად გამოქვეყნებული იქნება აგრეთვე ინგლისის შეკითხვის ნოტა საფრანგეთისადმი და გაერთიანებული პასუხის განზრახული პროექტი გერმანიის წინადადებებზე, მასთან თან-დართული მემორანდუმით. გამოქვეყნებული იქნებიან აგრეთვე საფრანგეთისა და ბელგიის ის დოკუმენტები, რომელნიც გამოქვეყნებული იყვენ ამას წინათ პარიზსა და ბრიუსსელში.

„საბოლოო“ ნოტა.

ლონდონი ინგლისის პასუხის გამო „ტაიმს“-ი აცხადებს, რომ საპასუხო ნოტა არის საბოლოო დოკუმენტი სხვა დოკუმენტების რიგში,—რომელთაც უგზავნიდენ მოკავშირეები ერთმანეთს გერმანიის 7 ივნისის უკანასკნელ მემორანდუმის შემდეგ დღემდი.

ოკუპაციის გარშემო

სასურსათო კრიზისი რურში.

პარიზი. ფულის ნიშნების უქონლობის გამო, რურის ოლქში აღებ-მიცემობა შეფერხდა. ამ ნიადაგზე გაძლიერდა სასურსათო კრიზისი.

იხურება ქარხნები.

პარიზი. გემბორნში (რურის ოლქი) დაიხურა ტისსენის ქარხნები.

მაღაროების წყლით ავსება.

პარიზი. დორტფელდში ამას წინათ ჩამორთმეულ მაღაროებში წყლით აივსო ელექტრონის ცენტრალური სადგურები. გამოძიება სწარმოებს.

სისხლის მღვრელი შეტაკებანი.

პარიზი. კრეფელდში დემონსტრანტებსა, რომელნიც პროტესტს აცხადებდენ სიძვირის წინააღმდეგ, და პოლიციის შორის სისხლის მღვრელი შეტაკება მოხდა. მოკლულია ერთი, დაჭრილი 10.

რუმინეთში

აჯანყება დაიწყო.

ვენა. 9 აგვისტო რუმინეთის გლეხობა აღშფოთებულია მიწის რეფორმის ცალმხრივათ განხორციელებით და ჟანდარმულ ტერორით, რომლითაც მთავრობა უმასპინძლდება მოსახლეობას. აღშფოთებულ სოფლის მუშების და გლეხების ბრბომ იერიში მიიტანა კრონპრინცის სასახლეზე გალოციდან გამოწვეულმა ჯარებმა დაშალეს შეამბოხენი დაჭრილია 20 კაცი.

ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთი და ევროპის სახელმწიფოები.

ბერლინი. 10 აგვისტო. გაზეთების ცნობით, ოსმალეთის მთავრობას განზრახვა აქვს მოლაპარაკება დაიწყოს შვეიცარიასა გერმანიასა, ავსტრიასა და უნგრეთთან სავაჭრო და დიპლომატიურ ურთიერთობის აღსადგენად.

დემობილიზაცია.

ბერლინი. 10 აგვისტო. ოსმალეთის არმიის დემობილიზაცია გრძელდება. ხუთი გაწვევის ჯარისკაცნი უკვე სახლებში გაუშვეს.

ოსმალეთი

ოსმალეთი და სამხრეთ სლავია.

ბერლინი. 10 აგვისტო. ბელგრადში განზრახულია სამხრეთ სლავიისა და ოსმალეთის კონფერენციის მოწვევა ცალკე საზავო ხელშეკრულების დასადებად ოსმალეთსა და სამხრეთ-სლავიის შორის.

სხვადასხვა ამბები

ინგლისი.

ლლოიდ-ჯორჯს სკანდალი მოუვიდა.

პარიზი. ლლოიდ-ჯორჯს, რომელიც სიტყვით გამოვიდა კონცერტზე უელსის ერთერთ ქალაქში, საზოგადოება მღელვარე დემონსტრაციებით შეხვდა და უარი სთქვა მისი სიტყვის მოსმენაზე. ლლოიდ ჯორჯი იძულებული იყო დაეტოვებია კრება.

სამხრეთ-სლავია.

სამხრეთ სლავიის მუშათა პარტიის მოწოდება.

ვენა 9 აგვისტო. სამხრეთ სლავიაში მოახლოვებული მუნიციპალური არჩევნების გამო, სამხრეთ-სლავიის მუშათა პარტიამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც მოითხოვს სრულს თავისუფლებას კლასიურ ბრძოლაში, **სამხრეთ-სლავიის უღელს ქვეშ მყოფ ყველა ერების თვითგამორკვევის უფლებას და მუშურ-გლეხურ მთავრობის შექმნას.**

ბულგარეთი.

კომუნისტების პროცესის განახლება.

ვენა. 9 აგვისტო. პლევნაში განახლდა კომუნისტების პროცესი, რომელთაც ბრალათ ედება ცანკოვის მთავრობის ჩამოსაგდებათ მზადება პლევნაში და მუშურ-გლეხურ მთავრობის მოწყობის ცდა. მთავარი ბრალდებულები პლევნის ქალაქის ხმოსნები უარყოფდენ მათდამი წაყენებულ ბრალდებას ახალი მთავრობისათვის წინააღმდეგობის გაწევის შესახებ და აღნიშნავდენ, რომ კომუნისტების მობილიზაცია მათ მიერ გამოცხადებული იყო პრეფექტის თანხმობით, ქალაქში ძარცვა-გლეჯისათვის ხელის შეშლის მიზნით. დანარჩენმა 94 ბრალდებულებმა დაადასტურეს ეს ჩვენება და განაცხადეს, რომ პრეფექტმა დაავალა მათ ქალაქის დაცვა და მისცა მათ ნებართვა იარაღის ტარებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლება — ერთად ერთი გზაა თავისუფლებისაკენ.

ვენა. 9 აგვისტო. ოსმალების საწინააღმდეგო მაკედონიის აჯანყების 20 წლის თავის აღსანიშნავათ, სოფიაში შესდგა მაკედონიის ორგანიზაციების მანიფესტაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 6 000 მაკედონელმა ემიგრანტმა. მანიფესტაციის გამო „რაბოტნიჩესკი ვესტნიკი“ აღნიშნავს, რომ **ერთად ერთი გზა მაკედონიისათვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლათ — ეს არის გაერთიანებული ბრძოლა ბულგარეთის კომუნისტურ პარტიასთან მუშურ-გლეხურ მთავრობის დაარსებისათვის** გაზეთი აღნიშნავს, რომ **მაკედონიის ემიგრანტებმა უარი უნდა სთქვან კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან კავშირზე და მხარი დაუჭირონ საბჭოთა რუსეთს მის ბრძოლაში იმ საზავო ხელშეკრულებების გასაუქმებლათ, რომელნიც მონათ აქცევენ მაკედონიას.** მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მაკედონიის ემიგრანტ-კომუნისტებმა, რომელთაც გამოაქვეყნეს მოწოდება, სადაც ბალკანეთის კომუნისტურ ფედერაციისა, საერთაშორისო რევოლიუციონურ პროლეტარიატისა და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკასთან მთლიანობისაკენ მოუწოდებენ მაკედონიის ხალხს.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

პოლონეთი.

დაღუპულ ამხანაგის გასვენება.

ვარშავა. 8 აგვისტო. ბელოსტოკის საპყრობილეში პოლიტიკურ ტუსაღების მიერ გამოცხადებულ სიმშილის გაფიცვის დროს გარდაიცვალა ერთი ტუსაღი, რომელიც ძალდატანებითი ხელოვნურმა კვებამ დააზიანია. ბელოსტოკის მუშებმა მას გრანდიოზული გასვენება გაუმართეს.

საფრანგეთი.

მელითონეთა გაფიცვა.

პარიზი. ალლეში გამოცხადებულია მელითონეთა გაფიცვა.

ბელგია.

პარიზი. ბრიუსელიდან მიღებული ცნობით ბელგიის სენატმა იმმუნიტეტი წაართვა სოციალისტ დეპუტატებს რენიეს და ფრეტიურს რკინის გზელთა უკანასკნელი გაფიცვისათვის ხელის შეწყობის გამო.

სამხრეთ-სლავია.

მუშათა სოლიდარობა.

ვენა. 8 აგვისტო. მიუხედავად სამხრეთ-სლავიის მთავრობის მიერ მიღებულ ზომებისა, სლოვენსკის რკინისგზელებმა გაატარეს 24 საათი საპროტესტო გაფიცვა, საგაფიცვო კომიტეტის წევრთა დაპატიმრების წინააღმდეგ.

რკინის გზებზე შემოღებულია სამხედრო კონტროლი. რკინისგზელთა კავშირებმა მიმართეს ყველა რკინისგზელებს მოწოდებით, რათა 12 აგვისტოს მოაწყონ საპროტესტო დემონსტრაცია, მთავრობის მიერ მიღებული ზომების წინააღმდეგ.

ინგლისი.

ლონდონის ნავთსადგურის მუშები მედგრად იბრძვიან.

ლონდონი. 8 აგვისტო **ლონდონის ნავთსადგურის მუშების გაფიცვა გრძელდება.** ბურჟუაზიული გაზეთები მოითხოვენ შესწყვიტონ დახმარების მიცემა გაფიცულთა ოჯახებისათვის, რადგანაც, მათი აზრით, დახმარება აქეზებს გაფიცულებს.

კომპარტია მოწოდებაში ესალმება გაფიცულების მედგარ ბრძოლას და წინადადებას აძლევს მათ, გაგზავნონ დელეგატები ინგლისის ყველა ნავთსადგურებში დახმარების სათხოვრად, მოაწყონ მიტინგები ტრამვაის პარკებში, გარაჟებში და რკინის გზის დეპოში, აგრეთვე გამართონ დემონსტრაციები.

ტრანსპორტის მუშები რკინის-გზელებს შეუერთდენ

ლიფილდი. 9 აგვის. ტრანსპორტის მუშების კავშირი შეუერთდა რკინისგზელთა ეროვნულ კავშირს, რაც პირველი ნაბიჯია ტრანსპორტელებისა, რკინის-გზელთა და მაღაროების მუშათა წინანდელ სამთა კავშირის აღდგენისაკენ მიმართული; ეს კავშირი ორი წლის წინეთ დაირღვა იმის გამო, რომ რკინის გზელებმა უარი სთქვეს მაღაროების მუშების გაფიცვის მხარის დაჭერაზე.

საბერძნეთი

მუშები პროტესტს აცხადებენ სიძვირის წინააღმდეგ

ვენა. 9 აგვის. სალონიკიდან მიღებულ ცნობების თანახმად, **ათინაში და სალონიკში მუშების დიდი დემონსტრაციები მოხდა;** დემონსტრაციები გამოწვეული იყო სიძვირით.

ინდოეთი

სახალხო ბელადის საპატივსაცემო მანიფესტაციები

თეირანი. 8 აგვის. 18 ივლისს ინდოეთის მთელ რიგ ქალაქებში შესდგა განდის საპატივსაცემოთ მრავალრიცხოვანი ეროვნული მანიფესტაციები.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი.

ამხ. ლენინის ორი ახალი წერილი.

მოსკოვი 9 აგვისტო. „პროლეტარ რევოლიუც“-ის უახლოეს ნომერში მოთავსებული იქნება ამხ. ლენინის ორი დაუბეჭდავი წერილი: „სოციალიზმი“ და „ტაქტიკა პროლეტარიატის კლასიური ბრძოლისა“ ეს წერილები თავის დროზე ცენზურას არ გაუშვია.

ამხ. კალინინის მუშაობა.

ჩიტა. 8 აგვისტო. ამხ. კალინინის განკარგულებით ბლაგოვეშჩენსკის ციხიდან განთავისუფლებულია 115 პატიმარი და 500 იძულებით სამუშაოზე მყოფი ორ პატიმარს, რომელთაც სიკვდილით დასჯა ქონდათ მისჯილი, ამნისტიით შეეცვალათ სასჯელი.

ამხ. კალინინის ვლადივოსტოკში გამგზავრება.

ხაბაროვსკი. 8 აგვისტო. ვლადივოსტოკისაკენ მგზავრობის დროს გზაში ამხ. კალინინი იღებს გლეხთა დელეგაციებს. ხაბაროვსკის ქალაქის საბჭომ კალინინის სახელი უწოდა საბავშვო სახლს და ერთ ქუჩას.

გემ „სევასტოპოლის“ შეკეთება.

ოდესა. 8 აგვისტო. გემების საალმშენებლო ქარხნიდან დიდი ზეიმით ჩაუშვეს ზღვაში გემი „სევასტოპოლი“, რომელიც 1915 წელში დაიძირა და შემდეგ ამოღებული იქნა. ამ დღეებში გემი გავა ახლო აღმოსავლეთისაკენ.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

სახელმწიფო კინო ფაბრიკა.

ბაქო, 10 აგვისტო. უმაღლეს ეკონომიურ თათბირის საერთო გეგმათა კომისიამ მოიწონა საძრეწველო სექციის დადგენილება აზერბაიჯანში სახელმწიფო კინო ფაბრიკის დაარსების შესახებ. გადაწყვეტილია მიცემულ იქნეს 25,000 ჩერვ. მანეთის სესხი იმ ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში, რომელიც განზრახულია სურათ „ქალწულის კოშკის ლეგენდ-ის დასადგმელათ.

დახმარება მიწისძვრისაგან დაზარალებულთ.

ბაქო, 10 აგვისტო. წითელ ნახევარ მთვარის აზერბაიჯანის საზოგადოების მიერ გახსნილია შემოწირულებათა მიღება ხოროსანის (სპარსეთი) თერბადის რაიონის მიწისძვრისაგან დაზარალებული მოსახლეობის სასარგებლოთ.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 10 აგვისტო. აგვისტოს 5-7 ბაქოს ყველა ნავთის სამრეწველოებში ამოღებულია 1,800,000 ფუთი ნავთი. საქაჩავში მიშვებული იყო—1,077,000 ფ. საქაჩავიდან დაბრუნდა 1,063,000 ფ. დაიწმინდა 210,000 ფ. ბურღვაში იყო 166 ჭა. ჩაბურღულია 267 საჟენი.

ტყის ექსპლოატაცია.

ბაქო. 10 აგვისტო. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს სატყეო კომისიამ წინადადება მისცა აზერბეიჯანის კომისარიატს სასწრაფოდ მიაწოდოს თავისი დასკვნა აზერბეიჯანის ტყეების ექსპლოატაციის საკითხზე.

სომხეთი

ტროპიკული ინსტიტუტი.

ერევანი. 10 აგვისტო. ტროპიკულ ინსტიტუტის (მალარიასთან საბრძოლველად) ხელმძღვანელად მოსკოვიდან მოელიან პროფესორ კედროვსკის. გამოკვლევის მოსახდენად მოდიან პროფესორები სკრიბინი და მარტინოვსკი.

საავტომობილო მიმოსვლა.

ერევანი. 11 აგვისტო. სომხეთის კოოპ კავშირმა მოაწყო საავტომობილო მიმოსვლა ერევანსა, ახთამსა, დელიჟანსა, კამარლუს, ეჩმიაძინსა და აშთარაქის შორის.

ბრძოლა მალიარიის წინააღმდეგ.

ერევანი. 11 აგვისტო. მალიარიის წინააღმდეგ საბრძოლველად ენერგიული მუშაობა სწარმოებს. წითელი ჯვრის რაზმები, რომელშიაც შედის ერთი ექიმი და 4 ფერშალი, დღე მუდამ დაიარებიან სოფ. იმანშალსა, დაზალსა და ღვინეში. ეს კამპანია ზანგეზურსაც სწვდება. წითელი ჯვრის ხარჯზე არსდება ახალი რაზმი დელიჟნისაკენ, სოფ. ჩარხეჩსა და ეჩმიაძინში გასაგზავნად. მუშაობა გაგრძელდება სექტემბრის 5 ხევრამდე. ივლისის განმავლობაში სამალარიო ჯგუფმა სამკურნალო დახმარება გაუწია 1,412 კაცს, ზანგიბასარში—2,301 კაცს.

ტფილისის საბჭოს სხდომა გადაიდო

ორშაბათს, 13 აგვისტოსათვის და გაიმართება [illegible] თეატრის დარბაზში.

დღის წესრიგი:

1) კავკასიის ცალკე არმიის 5 წლის იუბილე.
2) საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ.
3) ამიერ-კავკასიის საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ტფილისის განყოფილების მოწყობის შესახებ.

საბჭოს პრეზიდიუმი.

საჰაერო ფლოტის კვირეული

ყველაფერი საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ

კვირა 12 აგვისტო: მუშტაიდი—„წითელი არწივები“. ქართველ წითელარმიელთა კლუბში—**სეირნობა, წარმოდგენა, კაბარე.**

კავკასიის ცალკე არმია—საჰაერო ფლოტს.

საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია.

საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია

აცხადებს, რომ 6 აგვისტოდან აეროდრომზე მოხდება

სანიმუშო გაფრენა

მუშებისა და ექსკურსიებისათვის. დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

ყველა საკითხებში, რომელიც დაკავშირებულია ექსკურსიებთან, უნდა მიმართონ ტფილისის კომიტეტში ამხ. ნაზაროვს და საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 2 ე რაიკომს. ტელეფონი 17—38 ან 2—46.

ცენტრალური კომისია.

საჰაერო ფლოტის კვირეულის განმავლობაში მუშტაიდის ბაღში, კახეთის და ვაგზლის მოედნებზე და ყოფილ სამხედრო ტაძრის გალავანში

აჩვენებენ ჰაეროპლანებს

სათანადო განმარტებებით.

დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია.

კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულება აზერბეიჯანში

„მგზნებარე გული“-ს ორდენის საქმე.

ბაქო 9 აგვისტო. ა/წ. მარტის დასაწყისში აზერბეიჯანის საგანგებო კომისიამ გაიგო, რომ ბაქოში არსებობდა არალეგალური საზოგადოება „მგზნებარე გული“-ს ორდენის სახელწოდებით. ამ საზოგადოებას მეთაურობდა საინიციატივო სამეული შემდეგი შემადგენლობით: დეგენიური ევგენისძე, პოეტი-ლიტერატორი, უსპენსკი ვადიმ ნიკოლოზისძე, პროფესორის შვილი—ბაქოს პოლიტეხნიკუმის სტუდენტი, ჩერნიკოვი ვალერი კონსტანტინესძე, აზნაური, თავისუფალი მხატვარის შვილი, ბაქოს პოლიტეხნიკუმის სტუდენტი. საზოგადოების მიზანი იყო: საშუალო საუკუნოების რაინდების კულტის ამაღორძინებელ ორდენის დროშის ქვეშ, რომელიც იქნება შედგენილი რკინის დისციპლინით შეკავშირებულ, სპეციალურ გამოცდაში გამოვლილ, მორალურად და ფიზიკურად გაწვრთნილ წევრთაგან, რომელნიც სიკვდილის შიშით ვალდებულნი არიან დაიცვან სასტიკი კონსპირაცია, ორდენის ზნე ჩვეულებანი და აღთქმანი, და დასდონ წერილობითი ფიცი ორდენიდან არ გამოსვლის შესახებ,—შექმნილი ყოფილიყო ძლიერი, მატერიალურ საშუალებებით მდიდარი მეჩანურ-აზნაურულ-ინტელიგენტური ცენტრი რომლის გარშემო უნდა შემოკრებილიყო რუსეთის რევოლიუციაში გაკოტრებული ინტელიგენცია. ორდენის საშუალებებს შეადგენდა საწევრო გადასახადები 25—1000 მან ოქროთი. საორგანიზაციო მუშაობის საწარმოებლად საჭირო საშუალებათა გამოსანახავად, სამეულმა დაადგინა—განსაკუთრებული გასამრჯელოს მიღების მიზნით სამსახური გაეწიათ ყოფილ ნავთის მრეწველებისათვის—ცენცხლი გაეჩინათ ბაქოს მრეწველობისათვის, რათა ძირი გამოეთხარათ საბჭოთა მრეწველობისათვის და აურზაურის და პანიკის დროს აეძულებიათ საბჭოთა ხელისუფლება წასულიყო დათმობაზე ძველ პატრონებისათვის ქარხნების, ფაბრიკების და სამრეწველოების დაბრუნების სა-



ანტუან კერი

საფრანგეთის „ლითონის მრეწველთა კომიტეტი“ და მისი მიზნები*)

1905 წელს რობერტ პინომ ერთ თავის ინტიმიურ წერილში გამოსთქვა შიში იმ დამღუპველ შედეგების შესახებ, რომელიც მოელის მსხვილ წარმოებას საფრანგეთის ხელში ლოტარინგიის დაბრუნების შემდეგ. როდესაც მან ხმარი დაუჭირა ელზასლოტარინგიისაგან ნეიტრალურ, მაგრამ საფრანგეთისაგან დამოკიდებულ სახელმწიფოს შექმნას, მან გამოსთქვა მხოლოდ შეხედულება „ლითონის მრეწველთა კომიტეტისა“, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა. ეს სახელმწიფო უნდა ყოფილიყო გამოყოფილი სამშობლოდან საბაჟო კედლით, რომ ამგვარათ დაეცვათ ლითონის მეფეების ეკონომიური პრივილეგიები. ასეთი პოზიციის დაცვა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა და მალე უკან დაიხიეს, რადგან 1917 წელს ლითონის მრეწველთა კომიტეტის ხელმძღვანელ კომისიის წევრი ამგვარათ აგვიწერს გრანატების და ბლინდაჟების მწარმოებელთა პროგრამას.

> „საზავო ხელშეკრულებამ ჩვენ უნდა დაგვიბრუნოს ლოტარინგიის მადნის მფლობელობა. საფრანგეთისათვის ლოტარინგიის მადნების დაბრუნება უზრუნველყოფს ჩვენ ბატონობას რკინის ბაზარზე. მოუმზადებს ბრწყინვალე მომავალს საფრანგეთის სალითონო მრეწველობას, რადგან ეს გაარკვევს ჩვენ წარმოებას და გერმანიას ხელიდან გამოგლეჯს საშუალებას აწარმოოს ორ ფრონტზე მომავალი ომები“.

და მრეწველმა დაასურათა თავისი აზრი შემდეგნაირ თ:

> „როდესაც თქვენ მოიწვევთ მეგობარს სადილზე, თქვენ იმავე დროს სთხოვთ მასთან მოიტანოს პური. (ეს ის დრო იყო, როდესაც თითო კაცზე მოდიოდა 300 გრ. პურის ულუფა). იმ დროს, როდესაც ჩვენ ვეპატიჟებით ლოტარინგიის რკინის მრეწველობას ხელახლა დაიკავოს თავისი ადგილი საფრანგეთის ოჯახში, იმავე დროს ჩვენ მას ვსთხოვთ თან მოიტანოს პური, ე. ი. საარის ნახშირი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ჩვენთვის არ იქნება სასურველი სტუმარი“.

დადგა მშვიდობიანობა. „ლითონის მრეწველთა კომიტეტის“, ომში გამარჯვებული, მესვეურნი ფიქრობდენ, რომ მათი სურვილები ბოლოს და ბოლოს სავსებით განხორციელდებოდა.

1871 წელს ლოტარინგიაში 38 ღუმელი მუშაობდა, რომლებიც წლიურათ 200.000 ტონაზე მეტ მადანს ვერ ამუშავებდენ. 1918 წლის ნოემბერში ღუმელების რაოდენობა 68-მდე ავიდა, წლიურათ 3.800.000 ტონა მადნის დამუშავებით, ესე იგი მოიმატა 1.800 პროც-ით. არც ერთი ნაწილი ამ მდიდარი ნადავლის, რომელსაც სახელმწიფომ აკრძალვა დაადო, ბოლოს და ბოლოს მაინც „ლითონის მრეწველთა კომიტეტი“ დაეპატრონა. ომეცის საწარმოვო დაწესებულებები, რომელიც შეადგენდენ გერმანული საზოგადოების „ფენიქსის“ საკუთრებას, შეუერთდენ კნიუტანჟის ლითონის წარმოებას, რომლის ძირითადი თანხა 75 მილიონ ფრანკს უდრიდა, და რომელიც დაარსებული იყო ცნობილ კრეზოს და კომპანიის მიერ.

ტიონვილის ქარხნები და ანჟევილის მადნები, რომლებიც ძმათა რეხლინგების საკუთრებას წარმოადგენდენ, გადავიდენ ლოტარინგიის სამადნო და სამეტალურგიო საზოგადოების ხელში,—ამ საზოგადოების კაპიტალი 50 მილიონი ფრანკს უდრიდა.

უკანჟის ქარხნები და მადნები, რომლებიც ძმ. შტუმების საკუთრებას შეადგენდენ, გადაეცა „ჩრდილოეთის და ლოტარინგიის სამთო და ფოლადის ჩამოსასხმელ ქარხნების“ საზოგადოებას. რომლის ძირითადი თანხა უდრიდა 80 მილ. ფრანკს.

რაც შეეხება ლითონის დამმუშავებელ მრეწველობას და ავტომობილების ფაბრიკანტებს, მათაც მოითხოვეს თავისი წილი, რომ განთავისუფლებულიყვენ მძიმე მრეწველობის დამოკიდებულებისაგან. 108 მილიონი ფრანკისაგან შემდგარი კაპიტალით მათ დაარსეს სამეტალურგიო და სამრეწველო პროდუქტებით მომხმარებელთა კავშირი, რომლის ხელში გადავიდა მშვენივრათ მოწყობილი საწარმოო დაწესებულებანი, რომელიც ტისენის საკუთრებას შეადგენდენ. ღუმელები, რომლებიც გელზენკირხენის სამადნო სააქციონერო საზოგადოების ხელში იყო, საზოგადოება „წითელი მიწა“-ს საკუთრებათ გადაიქცა. ამ საზოგადოებას ლეონ დევი თავმჯდომარეობდა. სხვა ნაკლები მნიშვნელობის საზოგადოებებმა ამ ნადავლის მხოლოდ მცირე ნაწილი მიიღეს.

დარჩა კიდევ საარის ოლქი ფორმალურად გერმანიის სამფლობელო, სინამდვილეში კი საფრანგეთის ბატონების ქვეშ. ამ უკანასკნელმა სხვა და სხვა არგუმენტებით მოინდომა საშუალება მიეცა საფრანგეთის მსხვილი ფირმისათვის საარის ოლქის ლითონის წარმოებაში 60 პროც. მონაწილეობა.

ამ გაყოფის დროს უნდა დაეცვათ აგრეთვე ბელგიის ინტერესები და მიეღოთ იგი ამ დიდ ამხანაგობაში, რომელიც საარის და ლოტარინგიის ლითონის წარმოებას დაეპატრონა. ამ მიზეზების გამო ბელგიელ მწარმოებლებს ჩვენ ვხვდებით არა მარტო არმედის და ხადირის გაზგუობების საბჭოებში, აგრეთვე ლოტარინგიის საზოგადოებებში: „წითელი მიწა“-ში, „ხაგენდინგერის ქარხნებში“ და ლოტარინგიის სამადნო-სალითონო წარმოების საზოგადოების წარმომადგენლობაში, სადაც მონაწილეობას იღებენ ბელგიის ორი დიდი საზოგადოება.

⁂

დიდი იმედები, რომლებსაც ამყარებდენ საფრანგეთისათვის ლოტარინგიის დაბრუნებაზე, არ გამართლდა. ზავის პირობებმა მოულოდნელი დაბრკოლებები წარმოშვა. გერმანელების რეჟიმის დროს მოზელის ოლქის ლითონის წარმოება მხოლოდ ნაწილი იყო დიდი რეინი—ლოტარინგიის ეკონომიური დარგისა, მასთან მოზელის ოლქი აწვდიდა რკინის მადანს. რური კი ნახშირს. ამ ბუნებრივ ეკონომიურმა მთლიანობამ, რომელიც გაჰკვეთა ფოშის ხმალმა, დასტოვა ლოტარინგიის ქარხნები, როგორც სათბობი მასალით უზრუნველყოფის, ისე ბაზარზე გასატანის მხრივ. საჭიროა, რომ 1918 წლიდან გაწყვეტილი ძაფი ხელახლა გამრთელდეს, რათა ლოტარინგიის მრეწველობამ თავი დააღწია კრიზისს. საარის ნახშირი ვერ იძლევა საჭირო რაოდენობას ლოტარინგიის მადნების დასამუშავებლათ.

მისი ნახშირი უვარგისია კოკსის ფაბრიკაციისათვის. ამის გამო საარის აუზიდან ამოღებულ 11 მილიონი ტონა ნახშირიდან 1922 წელში, მხოლოდ 317.000 იყო გატანილი ლოტარინგიის ღუმელების საჭიროებისათვის.

იმავე დროს გერმანია ხელახლა განმტკიცდა მსოფლიო ბაზარზე თავისი ტრასპორტის ნახშირის და მუშა ხელის სიაფის გამო; გერმანიის მრეწველობას საშუალება ჰქონდა 50 პროცენტით ნაკლებ დაედო სავაჭრო ხელშეკრულებები. ნახშირის ფასების საგრძნობლათ დაწევა არ აღმოჩნდა საკმარისი შინაური ბაზრის კონკურენციისაგან დაცვისათვის.

ომის წინ საფრანგეთი ამუშავებდა 5 მილიონ ტონა რკინას, რითაც დაახლოებით ფარავდა თავის საკუთარ მოთხოვნილებას. ლოტარინგიისა და საარის ოლქის გაერთიანება სწევს ამ ციფრს 11 მილიონამდე წლიურათ. ე. ი. 6 მილიონი ტონა ნახშირი ზედმეტად რჩება. როდესაც დაინახეს, რომ ამდენი ნახშირი მოუხმარებლათ რჩება, საფრანგეთის სალითონო წარმოების წინაშე დაისვა დილემა: ბაზარზე გატანა ან წარმოების შემცირება.

გარდა ამისა ომმა შეიტანა საფრანგეთის მრეწველობაში სამნაირი ცვლილება:

წარმოების გაუმჯობესება და გადიდება, საწარმოვო დაწესებულებების,—გეოგრაფიული—გადაჯგუფება და გაუმჯობესება სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციული აპარატების. ეს მოგება საწარმოო ძალების მხრივ საუბედუროთ ჰკარგავს მნიშვნელობას სავაჭრო ხელშეკრულებების გამო, რაც ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში ბაზრების სიმცირით აიხსნება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ევროპაში 100 ღუმელზე მეტია უმოქმედოთ დარჩენილი. განა ჩააქრობენ მათ ვესტფალიაში, რომ ხელ ახლა დაანთონ ლოტარინგიაში? ამ გარემოების გამო განსაკუთრებით ლოტარინგია დღემდის ბევრს ითმენდა, ვინაიდან მათი მუშტრები იყვნენ წინანდელი რეინ-ლოტარინგიის კარტელის მფლობელები ტისენი, რეიხლინგი-და შტუმმი. ეს იყო გერმანიის კლიენტურა, რომლის დამორჩილება დღეს თუ ხვალ ყოვლად შეუძლებელია ბრის, ანზენის და კრეზოსათვის. ტისენმა და კრუპპმა დაუთმეს მხოლოდ ნაწილი თავისი სავაჭრო ბაზისა და მასალისა, ნაცვლად შეინარჩუნეს მყიდველები.

შნეიდერი იძულებული შეიქნა აღიარებინა, რომ არაა საკმარისი გერმანიის მრეწველობის მაგნატის მიერ დატოვებულ სავარძელში ჩაჯდომა მსოფლიო ბაზარზე გასაბატონებლათ. სწორეთ საქონლის სიაფე შექმნის გასასაღებელ ბაზარს და ეს უკანასკნელი კი ხდის მრეწველობას შემოსავლიანად. რომ გატანილ იქნეს 6 მილიონი ტონა რკინა დამუშავებულ ან ნახევრად დამუშავებულ სახით, უნდა გაიყიდოს ისეთ ფასებში, რომ კონკურენცია გაუწიოს სალვარ-გარეთელ ფასებს.

ამგვარათ ხელახლა დაისვა საკითხი სათბობი მასალისა: 11 მილიონი ტონა რკინის გადასამუშავებლათ საჭიროა 13 მილიონი ტონა კოკსი. საფრანგეთის ლოტარინგიის და საარლანდის აგრეთვე კოკსის ქარხნები, თვით ისინიც, რომლებიც ეხლა შენდებიან, ყველა ერთად აღებული მოგვცემენ მაქსიმუმ 6 მილიონს.

მაშასადამე, სად უნდა იქმნეს მოძებნილი 7 მილიონი ტონა, ურომლისოთაც მძლავრი ლოტარინგიის წარმოება ბუნებრივად დეფიციტს მიიღებს. არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება: დაუბრუნდენ ისევ ძველ მიმწოდებელს, გერმანიას ანუ რურის ოლქს. მხოლოდ ეს კავშირი უზრუნველჰყოფს საფრანგეთის ლითონის წარმოების არსებობას.

სამშვიდობო მოლაპარაკებათა დროს იყო გათვალისწინებული საკოკსო შეთანხმება, ლიუქსემბურგის ოქმში შეტანილი, გერმანულ კოკსისა და ლოტარინგიის მადნის გაცვლა-გამოცვლის შესახებ. ეს შეთანხმება ფრანგების მიერ არ იქმნა შესრულებული. ამ მადნის წყაროებისაგან გარიყულმა გერმანელებმა მიმართეს ავსტრიას, შვეციას და ესპანეთს მარაგის ახალ წყაროთათვის და მიმართეს ისე წარმატებით, რომ ორი წლის განმავლობაში სრულიად არა სჭირდებოდათ ლოტარინგიის მადნები: 1913 წელში ისინი 26 მილიონ ტონას იღებდენ—1922 მხოლოდ სულ 32 000 ტონას. სამაგიეროდ საფრანგეთის სალითონო წარმოების მოთხოვნილება ვესტფალის კოკსზე უცვლელად დიდი დარჩა.

მართლაც და ასეთ ცუდ მდგომარეობაში ჩასავარდნათ საჭირო არ იყო „ომის მოგება“.

გერმანია მაინც მოვალეა ნახშირი მიაწოდოს ლონდონში მიწვეულ (აგვისტო 1922 წ.) კონფერენციის დადგენილების თანახმად, ყველა მოკავშირეებს უნდა მიეღოთ ყოველთვიურად 1.900.000 ტონა. საფრანგეთს თავის კუთვნილ 13.864.000 ტ. მაგიერ მიაწოდეს მხოლოდ 11.710.365 ტონა. ასე რომ მოწოდებაში 15 პროც. იყო დეფიციტი. რურის ბასეინში შესვლამდის, ეს დანაკლისი დიდს საჭიროებას წარმოადგენდა, თუმცა საფრანგეთსა და ბელგიას ნახშირის დიდძალი რაოდენობა ჰქონდათ, ასე რომ საარის და სარეპარაციო ნახშირის უდიდესი ნაწილი ისევ გერმანიასვე მიჰქონდეს.

„ლითონის მრეწველთა კომიტეტი“ მოითხოვდა ნახშირის ამ მასსებს სარეპერაციო კომისიის საშუალებით, რათა აეძულებინა გერმანია კოკსის მიწოდების გადიდების საკითხში. ასე რომ მეტალურგიულ კოკსის საჯარო ციფრები 3 982.000 ტონიდან 1921 წლის—4 302.000 ტონამდე გაიზარდა 1922 წელში.

ერთ მშვენიერ დღეს საფრანგეთის მთავრობამ აღმოაჩინა, სარეპარაციო კომისიის საშუალებით, რომ სათბობი მასალის მიწოდება 15 პროცენტით ნაკლები იყო მოთხოვნილებაი რაოდენობასთან შედარებით. აშკარაა, თუ რომ კიდეც ეს დანაკლისი თუ კიდევაც იქნებოდა სავსებით შესრულებული, საფრანგეთის ღუმელების მდგომარეობის გაუმჯობესება მაინც სათუო იქნებოდა, რადგან ფრიად დიდი განსხვავება იყო მარაგის დანაკლისსა და საფრანგეთის სალითონო მრეწველობის საკოკსო დეფიციტს შორის.

მართლაც და ლითონის მრეწველთა კომიტეტი ახალ ხელშეკრულებებს საჭიროებს. და ამისათვის რკინის მაგნატები რურის ოლქში გაემგზავრნენ.

განა შეიძლება კოკსისა და გასასაღებელ ბაზართა საკითხში აიძულონ გერმანიის მმართველნი კაპიტულიაციაზე, თუ არ მოისპობა გერმანული მრეწველობა, ან და არ ჩაუვარდება ხელში რამოდენიმე მსხვილ ფრანგულ ფირმას? ამის შესახებ „ლითონის მრეწველთა კომიტეტის“ ხელმძღვანელნი არასოდეს არ ფიქრობდენ, რაც ნათლად დაგვიმტკიცეს ზოგიერთმა ცნობილმა ორატორებმა. მაგალითად მ. ადოლფ დელებერი, გაზეთ „პოლიტიკურ-ეკონომიურ სოციალური კვირა“-ს მთავარი რედაქტორი, რურის დაკავებამდე ერთი წლით წინ სწერდა შემდეგს:

> „თუ ხვალ დაკავებულ იქმნება რური, როგორც დღესა და გუშინ რეინი, ფრიად სათუოა, რომ გერმანიამ დასთმოსო. ჩვენ ვიცით ეს. მდგომარეობა ნათელია. ჩვენ გერმანიას მოვთხოვეთ, რათა იგი თვის დაღუპვას შეურიგდეს. თუ ამისდა მიუხედავად ჩვენ იქ წავედით, მოვძებნოთ მაშინ იქ სხვა რამ. რა იდგა გვიხელმძღვანელებს ჩვენ? რურის ოლქის დაკავება ჩვენთვის ინტერესს შეიძლება მაშინ წარმოადგენდეს, თუ ჩვენ ეხლავე გადავწყვიტავთ გერმანიას ჰეგემონია ჩამოავრთვათ სალითონო მრეწველობაში. ოკუპაცია—საშუალება უნდა იქმნეს, რათა შესუსტდეს გერმანული მრეწველობა, უზრუნველყოს ჩვენი ძლიერება რკინის ბაზარზე. ჩვენ განკარგულებაში მყოფ საშუალებით, მისი იქიდან გაძევება და მისი ადგილი ჩვენ მიერ დაკავება წარმოადგენს რურის ოლქის დაკავების მიზანს, ჩვენი ფინანსების დაბალ საფეხურზე დგომის გამო; მაშინ ჩვენ მეტოქეობას გაუწევთ ინგლისს, რაც ეხლა შეუძლებელია გერმანიის მხრივ კონკურენციის გამო. მაშინ დადგებოდა მსოფლიო ბაზარზე პირველი ალაგის დაკავების მომენტი“.

ყოველკვირეულმა ჟურნალმაც „ქარხანა“-მ იგივე აზრი ფრიად ნათლად და აშკარად გამოსთქვა: „რის უნდა გვერიდებოდეს, როდესაც ჩვენ განკარგულებაში უძლიერესი არმია არის.

> „რურისა და საარის ნახშირთა პატრონების სახით, ჩვენ ევროპის ბაზრის ერთ ნაწილის ბატონები ვიქნებოდით და მე ვფიქრობ, რომ ჩვენ შევძლებთ ავიღოთ საჭირო საბაჟო გადასახადი ნახშირიდან, რომელიც მოხმარდება გერმანულ და ნეიტრალურ მრეწველობას, რათა ისევ გადავწიოთ სასწორი ჩვენ მრეწველობის სასარგებლოდ.
>
> როგორც „რურის მფლობელნი“ ჩვენ შევსძლებდით გველაპარაკნა გაბედული ენით ინგლისელ იმპორტერებთან და ჩვენის მხრივაც წავუყენებდით ჩვენ პირობებს.
>
> საეჭვო იქნებოდა მხოლოდ გერმანელ მუშათა პოზიცია ჩვენს მიმართ და საკითხი იმის შესახებ, იქნებოდა თუ არა გაწეული მათ მიერ პასიური წინააღმდეგობა, რასაც მათ ურჩევენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მივაღწევთ მათთან რაიმე შეთანხმებას; ეს აუცილებელია, ვინაიდან მხოლოდ მოხელეები და მოსამსახურეები იქ ნახევარ მილიონს შეადგენენ“.

ამგვარი კატეგორიული განცხადებანი ერთი წლით ადრე, რურის ოლქის ექსპედიციამდე, დიდის სიცხადით ამტკიცებენ, რომ საფრანგეთის დაინტერესებულ წრეებში კარგად ქონდათ შეგნებული მიზანი რურის ექსპედიციისა, და რომ უმთავრესი იყო არა სარეპარაციო გადასახადების მიღება, არამედ ანექსია. დიდი ხნით ადრე მმართველ წრეებში შემუშავებული იყო რურის ოლქის ოკუპაციის და მმართველობის მეთოდები. 1921 წლიდან დადგენილი იყო რომ დაკავებულ ოლქის ტეხნიკური მმართველობა მიენდობოდა განსაზღვრულ კომისიას.

რათა რურის დაკავება არ ყოფილიყო დაშვებული, გერმანიის მსხვილ მრეწველობას, გერმანიის მთავრობასთან კავშირში, ჰქონდა თავის განკარგულებაში მხოლოდ ერთ საშუალება; ვესტფალიის სამადნო-სალითონო წარმოებებში საფრანგეთის ლითონის მრეწველთა კომიტეტის დიდი ფირმების მონაწილეობა 60 % ით ვინაიდან გერმანიის მაგნატებს ამ პირობებზე კაპიტულიაცია არ სურდათ, პუანკარემ უეცრად „შენიშნა,“ რომ გერმანიის მიერ წარმოგზავნილ ნატურალურ გადასახადებში 1922 წ. რამდენიმე ათას სატელეგრაფო სვეტების გარდა, აკლდა აგრეთვე 15 პროც. ნახშირი.

საბაბი ნაპოვნი იყო, მოქ. რობერტ პინოს დარჩა მხოლოდ საჭირო ნაბიჯის გადადგმა. სამართველოსა და სარეპარაციო კომისიის „მოცეკვავენი“ 1.500.000 ომში დახოცილთა, განადგურებულ ოლქების მწუხარებანი, საზავო ხელშეკრულების სიწმინდე მხედველობაში არ იქნა მიღებულნი და ჩვენი ჯარისკაცები ძლევამოსილებით ესსენში შევიდნენ.

ა. კერი.

---

*) საფრანგეთის ეგრედ წოდებული „ლითონის მრეწველთა კომიტეტი“ („Comité des Forges“) არის ის უძლიერესი ორგანიზაცია მძიმე ინდუსტრიისა, რომელიც განსაზღვრავს დღეს საფრანგეთის პოლიტიკას რურის (და არა მარტო რურის) საკითხში და რომლის ნება-სურვილების ამსრულებელია ბ. რაიმონდ პუანკარე.

ეს წერილი ეკუთვნის ახლახან გარდაცვლილ ჩვენ ფრანგ ამხანაგს, ანტონ კერს, ავტორის ბევრ დასაბუთებულ ნაწერებისას საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებზე. ამხ. კერი მუდმივი თანამშრომელი იყო სხვათა შორის ბერლინის „ინტერნაციონალური პრეს-კორესპონდენციისა“ („ინპრეკორ“), რომლის ივლისის მე-110 №-დან მოგვყავს ეს წერილი.

რედაქცია.

კითხვში. ამ მიზნით ორგანიზაციაში ჩათრეული იყო ყოფილი მეფის ოფიცერი ორტინოვი, გიორგი რუდოლფის-ძე, იგივე გრაფი ორტენაუ, „აზნაურის" სამმართველოს სურახანის რაიონის ქარხნის მცველი რაზმის უფროსი, რომელიც გადაყენებული იყო სამსახურიდან დაუდევრობისათვის. ორტინოვმა დაარწმუნა სამეული, რომ მას ჰყავს 60 დე შეიარაღებული კაცი, რომელნიც მზად არიან პირველი დაძახებისთანავე ჩაიდინონ ყველაფერი, რასაც ის დაავალებს მათ, და რომ მან იცის მოხერხებული ადგილები ცეცხლის გაჩენის მარივ სურახანის რაიონში. ამ მიზნით ორტინოვმა ცეცხლის გაჩენის წინა დღით წაიყვანა სურახანში უსპენსკი და უჩვენა მას ადგილი, სად და როგორ უნდა წაუკიდონ ცეცხლი. იმავე დღეს ორტინოვმა გააცნო უსპენსკის აზნაურის მცველი მურზინი და ყოფილი თეთრგვარდიელი კაზაკი, რომელიც სანდო კაცათ დაუსახა უსპენსკის. გარდა აღნიშნულ წყაროსი, ორდენის საშუალებათა გასაძლიერებლად გადასწყდა ბანდიტური თავდასხმანი საგზავრო მატარებლებზე და კერძო პირებისაგან ტერორის საშუალებით ფულების გამოტყუება. გარდა ზემო დასახელებულ არსებისა ორდენის საქმიანობას იცნობდენ ტუმასოვი, სერგო ქრისტეფორის ძე, ყოფილი ოფიცერი, ფონშტეინი, ლევ ფაშიანის ძე, პოლიტეხნიკუმის სტუდენტი, დობროვიცკი კაზიმირ გუსტავის-ძე, რაიმე განსაზღვრულ სამუშაოს მოკლებული, და კოვრიგინი მაქსიმე სიმონის ძე, დონის ოლქის კაზაკი, რომელიც მსახურებდა „აზნაურის" მცველ რაზმში. 1 ივლისს ღამით აზერბეიჯანის საგანგებო კომისიამ დააპატიმრა მთელი ორგანიზაცია. დაკითხვის დროს საინიციატივო ჯგუფმა და ორტინოვმა აღიარეს, რომ ისინი ემზადებოდენ სამრეწველოებში ცეცხლის გაჩენისათვის, ბინებზე და მატარებლებზე თავდასხმისათვის და სხვ. ორდენის საშუალებათა გასაძლიერებლად; ამასთანავე, უსპენსკის ჩვენებით, მას უნდა გაეჩინა ცეცხლი 7-ე სამრეწველოში, ხოლო ორტინოვს და კოვრიგინს 6-ე სამრეწველოში. ყველა ბრალდებულები კატეგორიულად უარყოფდენ სურახანის სამრეწველოებში უკანასკნელად ცეცხლის გაჩენაში მონაწილეობას. მაგრამ ერთხმად დაადასტურეს, რომ ცეცხლი ძალიან შესაფერის მომენტში გაჩნდა, და საბაბი მიეცათ მრეწველებისათვის ოქროს დასატყუებლად.

მიიღო რა მხედველობაში, რომ „მწვანე გულის" ორდენის არალეგალური ორგანიზაცია, არის კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია ფაშისტური ხასიათისა, რომელიც დაარსდა ქვეყნის ეკონომიურ კეთილდღეობის ძირის გამოსათხრელად და საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობის გართულების მომენტში მისი ეკონომიური ძლიერების შიგნიდან შესასუსტებლად, რომელიც ბანდიტურ გამოსვლების საშუალებით სცდილობდა სახელი გაეტეხა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მშვიდობიან მცხოვრებთა და მთელი ქვეყნის თვალში და ქვეყნის მშვიდობიანობის დარღვევას და შესდგებოდა რა იგი საბჭოთა ხელისუფლების მტრულ ელემენტებისაგან, რომელნიც ორდენის არსებობის და მუშაობის პირობებში აურაცხელ უბედურებას მიაყენებდა სახელმწიფოს, აზერბეიჯანის საგანგებო კომისიამ დაადგინა, სათანადოთ დასაჯოს ორგანიზაციის თვითეული წევრი: დეგენს, უსპენსკის, ჩერნიკოვს და ორტინოვს, როგორც ორდენის იდეოლოგებს, სულის ჩამდგმელებს და აქტიურ მუშაკებს მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა—დახვრეტა, მურზინს, როგორც ბნელ, შეუგნებელს, ორტინოვის ბრმა იარაღს მიესაჯოს 3 თვის დაპატიმრება სასტიკი იზოლიაციით; დობროვიცკი, როგორც ორდენის პასიური წევრი, რომელმაც არაფერი არ იცოდა მისი ნამდვილი მიზნების შესახებ, განთავისუფლებულ იქნეს, კოვრიგინი, რომელიც არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ორდენის მუშაობაში, და მოტყუებით იქნა ჩათრეული ორგანიზაციაში ორტინოვის მიერ, განთავისუფლებული იქნეს; ფონშტეინი, თუმცა როგორც მონაწილე, მაგრამ ნაკლებად შეგნებული და არა სრულწლოვანი, განთავისუფლებულ იქნეს, ტუმასოვი, როგორც არა აქტიური, რომელიც გულწრფელად გამოტყდა დაკითხვის დროს, განთავისუფლებულ იქნეს. განაჩენი დეგენის, უსპენსკის, ჩერნიკოვის და ორტინოვის მიმართ სისრულეში იქნა მოყვანილი.

აზერბეიჯანის საგანგებო კომისიის კოლეგიის მიერ გამოქვეყნებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ აზერბეიჯანის საგანგებო კომისიის მრისხანე ხელი, რომელიც არის ფხიზელი დამცველი პროლეტარულ სახელმწიფოს ინტერესებისა, მომავალშიც დაუზოგავად დასჯის არა მარტო ბაქოს სამრეწველოებში ცეცხლის გამჩენლებს, რომელნიც სცდილობენ ეკონომიურ აღმშენებლობის ფრონტის გარღვევას, არამედ ყველა იმათ, ვინც განიზრახავს ასეთ ბნელ საქმეების შესრულებას.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(11 აგვისტო).

ჩერვონცები — — —	24.700
ოქრ. მონეტ. სესხ. 1 მ.—	2000
გირ. სტერლინგ. ეფფექ.	24,400
ჩეკები —	22,600
დოლარები ეფფექტ. —	5,250
„ ჩეკები —	4,700
ოსმ. ქაღ. ლირა ეფფექტ.	3,450
იტალიური ლირა — —	180
ფრანგული ფრანკი —	250
საბჭოთა ფულის ნიშ.	16

მუშკოპის ფასები.

(11 აგვისტო).

პური—100 ათასი. ყუბანის ფქვილი 1 ხარ.—200. ნატეხი შაქარი—1.500 ათ., ფხვნილი შაქარი 1.300. ძროხის ხორცი—450. ცხვრის ხორცი—600. თუშური ყველი—860. ჰოლანდიური ყველი—800. ერევნის ბრინჯი—375. კარტოფილი—90. კომბოსტო—100. წითელი ლობიო—40. მწვანე ლობიო—75. პამიდორი – 80. ბადრიჯანი ც.—25. დაფშვნილი და ქვა მარილი—120. ხახვი გირ.—120. ჭარხალი – 50.

ახალ საბაჟოების გახსნა.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სამმართველომ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ახალი საბაჟოები გახსნას ბაღრანთაპესა და მარალიანში.

ალებ-მიცემობა სპარსეთთან.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა შეადგინა იმ საქონლის სია, რომლის გამოზიდვასაც სპარსეთიდან არა სჭირდება არავითარი ფორმალობის შესრულება, როგორიც არის, თვითეულ ჯერად გამოტანილ საქონლისათვის განსაკუთრებული ნებართვის აღება და სხვა. ასეთი საქონელი არის: ბამბა, ბამბის თესლი, ბრინჯი, ჩირეულობა, მატყლი, დამუშავებული და დაუმუშავებელი ტყავები, აბრეშუმის პარკი, აბრეშუმის ძაფი.

აგრეთვე შედგენილია სია გასაზიდად ნებადართულ საქონლისა ს. ს. რ. კავშირის ფარგლებიდან შეღავათიანი პირობებით. ასეთი საქონელი არის: ფართალი, შუშეულობა, ტილოს ქსოვილები, ტომრები, სპილენძისა და ფოლადის ნაწარმოებნი, შაქარი, საამშენებლო ხე-ტყე, მანქანები, სახელოსნო იარაღები, ქაღალდი, რეზინის ნაწარმოებნი, ეტლები, შესაბმელ ცხენების შეკაზმულობა, ბადეები და სათევზაო ხელსაწყო, სამედიცინო ინსტრუმენტები და მედიკამენტები.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში.

ქარხ. „შრომის" სამთო-მადნო განყოფილებამ ყოველგვარი ზომები მიიღო ცეცხლგამძლე ნაწარმოებთა დამზადების გასაფართოვებლად „შრომა"-ს ქარხანაში (სადგ. ძირულა). მოლაპარაკება სწარმოებს ამიერკავკასიის წარმოებებთან და დაწესებულებებთან, რომელთაც კი სჭირდებათ ცეცხლგამძლე ნაწარმოებნი, „შრომის" ქარხნიდან მათი მოწოდების შესახებ.

მოსავალი აღმოსავლეთ საქართველოში

ახალციხის მაზრაში.

პურეულის ზრდის პირობები და მოსავლის ნიშნები იყო შემდეგი.

გაზაფხული ნაგვიანევი იყო, გაზაფხულის პურის თესვას უფრო გვიან შეუდგენ, ვიდრე ჩვეულებრივ. ამასთან ერთად თესვის დროს დაესწრო ხანგრძლივი გვალვა, რომლის გამო პურეულის ზრდა იყო უთანაბრო და არა დამაკმაყოფილებელი, განსაკუთრებით მოურწყავ ადგილებში. ივნისის წვიმებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს ნათესების მდგომარეობა, ხოლო მკის შედეგებმა გამოარკვიეს, რომ ამ წლის მოსავალი [illegible]—საშუალოდ უნდა ჩაითვალოს.

ბორჩალოს მაზრა

ამ მაზრაში მშრალი შემოდგომისა და უთოვლო ზამთრის გამო ნიადაგს საკმაო სინესტე არ ქონდა და ამ მიზეზით ძალიან დააბრკოლა ნათესების ზრდა. აპრილის დასასრულს და მაისის დასაწყისში მაღლობ ადგილებზე ნათესმა ხმობა იწყო და ზრდა შეაჩერა. შემდეგ უხვმა წვიმებმა ნათესები გამოაკეთეს და მოსალოდნელი იყო მოსავალი, მაგრამ ივნისში დაიწყო ძლიერი წვიმები სეტყვით. დაზარალდა მთელი. მაზრა სეტყვით იყენებულმა ზარალმა და გვალვამ მოსალოდნელი მოსავალი 50 პროც. შეამცირა.

სეტყვისაგან მაზრაში დაზარალებულია შემდეგი რაიონები: ლიუქსემბურგის, - 3,768 დესეტ., შულავერის —186 დესეტ. სარვანის—520 დესეტ. ბაშკიჩეთის—930 დესეტ. გვალვამ და მოურწყავობამ დააზარალა შულავერის რაიონში 442 დესტ., სარვანის ,500 დესეტ. სულ მაზრაში დაზარალდა 6 ათას დესეტინაზე მეტი. საერთოდ, სეტყვისა და გვალვის გამო, მოსავალი ბორჩალოს მაზრაში საშუალოზე ნაკლებია.

დუშეთის მაზრა.

დუშეთის მაზრას დაბლობ რაიონებში მუხრანსა, საგურამოსა და რამოდენიმედ ბაზალეთის რაიონში ნაკლებ-თოვლიანი ზამთრისა, მშრალი გაზაფხულისა და ნაწილობრივად ზაფხულის წვიმების სიჭარბის გამო, მოსავალი შარშანდელზე 45 პროც. ნაკლებია. მთის რაიონებში (ფასანაურს და მლეთის) სადაც ნაგვიანები ნათესები იყო, მოსავალი კარგია.

ტფილისის მაზრა.

ტფილისის მაზრაში პურეულის მოსავალი საერთოდ საშუალოა, ხოლო სიმინდის საშუალოზე მეტი.

ბამბის პლანტაციების მდგომარეობა. ბამბის თესლის გვიან მიღების გამო, საქართველოში წრეულს დაითესა მხოლოდ 600 დესეტინა, ყარაიაზის რაიონში - 500 დესეტ. და 100 დეს. ბორჩალოს მაზრაში.

ბამბის პლანტაციების მდგომარეობა ჩინებულია, განსაკუთრებით გლეხების ყანები სოფ. ვორონცოვკასა და სხვა რუსულ ახალშენებში, რომელნიც მდებარეობენ ყარაიაზის საცდელ სადგურის გარშემო.

შესამჩნევად ნაკლებია და ცუდი სხვა და სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ნათესები „ზაკვოდხოზის", „ოკასის" და სხვა.

საერთოდ მიღწეული შედეგები ადასტურებენ საქ.—ში მებამბეობის განვითარების სრულს შესაძლებლობას, და ბამბის მთავარ მთესველ კომიტეტს (გლავხლოპკომი) მომავალი წლისათვის განზრახვა აქვს ყარაიაზის და ბორჩალოს რაიონებში ბამბის სათესი მოედანი აიყვანოს 4 ათას დესეტ ამის გარდა განზრახულია იმერეთისა და კახეთის ალაზანს გაღმა მდებარე საბამბე ადგილების დათესვა. ასე რომ მომავალ წელს ბამბის თესლის ადგილები—12 ათას დესეტინას მიაღწევს.

პროფკავშირებში

წყალის ტრანსპორტი მუშაკთა კავშირი.

სანიტარული განათლება.

ბათუმის წყლის ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის ნავთსადგურის კომიტეტმა წინადადება მისცა დამზღვევ კასას გამოჰყოს ექიმი ლექციების წასაკითხავად მალარიასთან ბრძოლის შესახებ

ამას წინად დამთავრდა ლექციების კითხვა მსოფლიოს შესახებ. საჭიროა აღინიშნოს ის დიდი ინტერესი, რომელსაც იჩენდენ წყლის ტრანსპორტის მუშაკები ლექციების კითხვისადმი.

პროფმოძრაობის წრე.

ბათუმის წყლის ტრანსპორტის მუშაკთა ნავთსადგურის კომიტეტთან მოქმედებს პროფესიონალურ მოძრაობის შესასწავლი წრე.

კულტურული შეფობა სოფელზე.

წყალის ტრანსპორტის მუშაკთა ნავთსადგურის კომიტეტის დადგენილებით, წყლის ტრანსპორტის მუშაკთა ბათუმის კავშირი ახლო მომავალში მიიღებს შეფობას რამდენიმე ახლო—მდებარე სოფელზე.

კავშირმა შეიძინა დიდძალი რევოლიუციონური ლიტერატურა და გაზეთები ოსმალურ და ქართულ ენებზე სოფლებისათვის მისაწოდებლად.

წყალის ტრანსპორტის მუშაკთა ნავთსადგურის კომიტეტმა მიმართა დამზღვევ კასას თხოვნით სოფლებისათვის საშინაო აფთიაქების მიწოდების შესახებ.

გადასწყდა, ეთხოვოს სამეურნეო ორგანოს მატერიალური დახმარება კულტშეფობის ცხოვრებაში წარმატებით გასატარებლად.

სასპორტო წრე.

წყალის ტრანსპორტის მუშაკთა ნავთსადგურის კომიტეტის ინიციატივით, წყლის ტრანსპორტის მუშაკთა ახალგაზრდა კომკავშირის იაჩეიკას უახლოეს სხდომაზე გადაწყვეტილია დაისვას საკითხი სასპორტო წრის მოწყობის შესახებ. სამეურნეო ორგანოები გაუწევენ მას მატერიალურ დახმარებას.

გერმანიის მეზღვაურთა გაფიცვა და ბათუმის წყლის ტრანსპორტის მუშაკები.

ბათუმის ნავთსადგურის წყლის ტრანსპორტის მუშაკთა საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება გერმანელ მეზღვაურთა გაფიცვის შესახებ, გამოიტანა დადგენილება გერმანიის გაფიცულ მეზღვაურთათვის მატერიალურ დახმარების გაწევის შესახებ, რაც საშუალებას მისცემს მათ გაუძლონ კაპიტალისტების თავდასხმას, ვინაიდან გაფიცვის წარმატებით ჩატარება დამოკიდებულია მთელი მსოფლიოს მეზღვაურთა დახმარებაზე.

ერთი დღის ხელ-ფასის გადარიცხვა.

ამ მიზნით გადასწყდა გერმანიის გაფიცულ მეზღვაურთა სასარგებლოთ წყალის ტრანსპორტში ყველა მომუშავეებმა გადარიცხონ ერთი დღის ხელფასი.

აფხაზეთის კავშირებში.

საკლუბო მუშაობა.

აფხაზეთის პროფკავშირთა საბჭოს მუშათა ცენტრალურ კლუბთან გაიხსნა მოკლე ვადიანი კურსები პროფესიონალურ მოძრაობის შესასწავლად.

წაკითხულ იქნა მთელი რიგი ლექციები მსოფლიოს ვითარების შესახებ.

კლუბთან მოქმედებენ შემდეგი წრეები. დრამატიული, მომღერალთა, ქართული და პოლიტიკურ განათლების.

შრომის კანონების კოდექსის პოპულიარიზაცია.

აფხაზეთის პროფკავშირთა საბჭომ ჩაატარა კამპანია შრომის კანონების კოდექსის პოპულიარიზაციის მიზნით. კამპანია დიდი წარმატებით ჩატარდა და დიდი ინტერესი გამოიწვია აფხაზეთის მუშათა მასებს შორის.

საქართველოს სიძველეთა რეევაკუაცია

(საუბარი საქართველოს აკადემიურ წარმომადგენელთან რუსეთში— ამხ. ჯგუშიასთან).

ამ დღეებში მოსკოვიდან ტფილისში დაბრუნდა საქართველოს აკადემიური წარმომადგენელი რ. ს. ფ. ს. რ.-ში ამხ. დ. ჯგუშია, რომელმაც ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბრის დროს შემდეგი განაცხადა საქართველოს სიძველეთა რეევაკუაციის შესახებ.

საქართველოს მხატვრულ და ისტორიულ მნიშვნელობის ძვირფასეულებათა რ. ს. ფ. ს. რ.-დან დაბრუნების საკითხი უმთავრესად და უმეტესათ უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილია თეორიულადაც და პრაქტიკულადაც. საქართველოს არქივის უმრავლესი ნაწილი, რომელიც ომის დროს გადატანილ იქნა ჩრდილოეთ კავკასიაში, ძლიერ დაზიანებულა სამოქალაქო ომის დროს და მხოლოდ სარგის კაკაბაძის ენერგიული შრომით, რომელიც გაგზავნილი იყო მათი რეევაკუაციისათვის, შესაძლებელი შეიქნა შეგროვება ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე მოფანტული დარჩენილი ნივთებისა 14 ვაგონის რაოდენობით, რომელიც ა. წ. იანვარში უკვე გადმოგზავნილ იქმნა ტფილისში.

რაც შეეხება საქართველოს სიძველეებს, რომელნიც ინახებოდენ სხვა და სხვა ადგილას და საქართველოდან გატანილი იყო სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა გზით, აქ ცენტრალური ყურადღება მიქცეულ იქნა იმაზე, რომ საქართველოს გადმოსცემოდა ძველი ისტორიული ნაშთები პეტროგრადისა და მოსკოვის მუზეუმებიდან აქ შეეჯახენ ინტერესები საქართველოს სიძველეთა შემსწავლელ ორი ცენტრისა (პეტროგრადი და ტფილისი), რომლებიც საჭიროებდენ იმ მასალებს და დოკუმენტებს, რომელზედაც ჩვენ განვაცხადეთ პრეტენზიები. ამ მიზნისთვის ს. რ. ალმასკომისაგან გამოყოფილ ორ სპეციალურ კომისიას, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. ლუნაჩარსკი და პავლოვიჩი პირველ ყოვლისა მოუხდა გადაწყვეტა ფრიად ძნელი და სერიოზული საკითხისა, თუ რომელ სიძველეთა შემსწავლელ ცენტრს (პეტროგრადს თუ ტფილისს) უნდა მისცემოდა უპირატესობა როგორც სამეცნიერო მუშაობის მაშტაბით, აგრეთვე სპეციალისტების რიცხვის მიხედვით, რომელნიც მუშაობენ საქართველოს სიძველეთა შესწავლის სხვა და სხვა დარგში.

კომისიიდან გამოყოფილ იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც მიენდო საქმის დეტალურად გამორკვევა. ამ კომისიამ მოიწვია ორთავე ცენტრის წარმომადგენლები (ს. ოლდენბურგი, ა. შანიძე, ქ. კეკელიძე და ა. გენკო) და გაეცნო რა დაწვრილებით ხასიათს, მაშტაბს და სისტემას ორთავე ცენტრის მუშაობისას, აღიარა საქართველოს სიძველეთა შესწავლის ორივე ცენტრის არსებობა ტფილისში და პეტროგრადში.

შემდეგ თავის სხდომებზე კომისია მუშაობდა იმის გამოსარკვევად, თუ რა და რა ხელთნაწერები დაეტოვებია პეტროგრადში და რა გამოეგზავნა საქართველოში. ხელთნაწერების გადასინჯვისა და აღწერის საქმეში მუშაობდენ პროფ. ა. შანიძე და ა. გენკო. მათი ენერგიული და დაუღალავი მუშაობით, რომლებმაც მოკლე ხნის ვადაში გადასინჯეს და აღწერეს 700 ხელთნაწერი, კომისიის მუშაობა ძლიერ გააადვილა. 20 მარტის სხდომაზე კომისიამ საბოლოოდ გამოარკვია თუ რა ხელთნაწერები უნდა დარჩენილიყო პეტროგრადში და რა უნდა გადმოცემოდა საქართველოს.

განსაკუთრებული დავა გამოიწვია ორმა პერგამენტმა (ახალი სერიის) პირველი—პაპირუსის მე-9 საუკუნის ხელთნაწერი და მეორე—№ 13 იოანე ოქროპირის ცხოვრება, რომელიც დათარიღებულია 968 წ. და გამოტანილია იერუსალიმიდან. საქმის ყოველმხრივი განხილვის შემდეგ აღნიშნული ხელთნაწერები კომისიამ საჭიროთ სცნო გადასაცემოდა საქართველოს.

ამასთან ერთად კომისიამ მიიღო, რა მხედველობაში რუსეთის სამეცნიერო აკადემიის წარმომადგენელთა მოსაზრებანი, დაადგინა დასტოვოს პეტროგრადის მუზეუმებში პოლი მესტერ ტიშენდორფის კრებულიდან, ბროსეს აკადემიის კოლლექციის ქართული ნაწილი და მთელი რიგი ხელთნაწერებისა, რომელნიც აუცილებელნი არიან საქართველოს სიძველეთა შემსწავლელ პეტროგრადის სკოლისთვის. ზოგიერთი ხელთნაწერები, რომელნიც უნდა გადმოეცეს საქართველოს, დატოვებულია პეტროგრადში მხოლოდ დროებით.

კომისიამ დაადგინა აგრეთვე გადაღებულ იქნას ფოტოგრაფიული სურათები როგორც პეტროგრადში დატოვებული აგრეთვე საქართველოში წამოსაღები ხელთნაწერების, ურთი-ერთ შორის გადასაცვლელად.

ამ ჟამად ყველა ხელთნაწერები ბიბლიოთეკასთან ერთად, რომელიც ეკუთვნის საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, პეტროგრადიდან გამოგზავნილია ტფილისში სპეციალური ვაგონით. უფრო მეტად საყურადღებო და დიდი ღირებულების ხელნაწერები უკვე ჩამოტანილია და გადაცემული საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში, მაგალითად: ვახუშტის გეოგრაფიის რუქების ორიგინალები, რეგალიები (ოქროს გვირგვინი მეფის ერეკლე მეორისა ძვირფასი ქვებით და სხვ.), ბარელიეფები კრეტსაზმელი საფარის მონასტრისა, რომელიც რუსეთში წაღებულია გრაფინია უვაროვას მიერ, პერგამენტები და სხვა ხელთნაწერები, წაღებული სვანეთიდან, ხელთნაწერი „ვეფხის ტყაოსანი" და სხვ.

რაც შეეხება საქართველოს სიძველეებს, რომლებიც გაბნეულნი არიან სხვა ადგილებში, მათი დაბრუნების საკითხი არ იწვევს არავითარ დავას და შეადგენს მხოლოდ ტეხნიკურ საქმეს. საქართველოსათვის აღნიშნულ ღირებულებათა დაბრუნების მნიშვნელობის შესახებ ამხ. ჯგუშიამ შემდეგი აღნიშნა:

ეს აქტი არის განსაკუთრებული, რომელსაც აქვს დიდი ისტორიული მნიშვნელობა და ისეთი მოვლენა, როგორსაც ადგილი არ ჰქონია მოკავშირე სახელმწიფოების ურთიერთობის ისტორიაში დაუბრუნოს უნცროს მოკავშირე რესპუბლიკას, სრულიად უსასყიდლოთ, ის, რაზედაც დახარჯულია ათი ათასობით ოქროს ფული და რაც ფასდება მილიონები, ეს ფაქტი ყოვლად წარმოუდგენელია ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ურთიერთობაში, რომელნიც ყოველთვის სჩაგრავენ და ავიწროვებენ კავშირში შემავალ პატარა ერებს.

ამ აქტით საბჭოთა მთავრობამ პროლეტარიატის ძლიერი ხელით დაამსხვრია კიდევ ერთი ჯაჭვი საქართველოს წარსული მონობისა და ხელი შეუწყო მის კულტურულ აღმშენებლობის საქმეს.

ქრონიკა

— **იურის-კონსულტი.** შრ. სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა, შემოღებული იქნას შრომის სახ. კომისარიატისა და დამზღვევი კასების საჭიროებისათვის იურისკონსულტის თანამდებობა და აღნიშნულ ადგილზე მოწვეული იქნეს სათანადო პირი.

— **პროცენტები** ამავე კოლეგიის დადგენილებით, წინადადება მიეცა აფხაზეთის დამზღვევ კასას დაზღვევის სათადარიგო ფონდში კუთვნილი პროც. ანარიცხები გადმოგზავნოს თავის დროზე.

— **სოციალურ დაზღვევის სამმართველოში.** კომისარიატის დადგენილებით სოციალურ დაზღვევის სამმართველოს კოლეგიაში შეყვანილი უნდა იქნეს წევრათ შრომის დაცვის განყოფილების გამგე.

— **დახმარება პროვინციის დაზღვეულებს.** ვინაიდან პროვინციებში დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების საქმე ვერ არის სათანადოთ დაყენებული, ამიტომ ადგილობრივ დამზღვევ ორგანოებს გაეწიათ სასწრაფო დახმარება ფულით.

— **მეეზოვეთა შესახებ.** კომისარიატმა დაადგინა გამოიცეს განსაკუთრებული დადგენილება, რათა სახლის პატრონებმა დროზე შემოიტანონ დამზღვევ კასაში საჭირო პროცენტები. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხის გებაში იქნენ მიცემულნი.

— **შრომის ბაზრის მდგომარეობა.** დაევალა ამხ მიქაძეს წარმოადგინოს მოხსენება შრომის ბაზრის მდგომარეობის შესახებ და გეგმა მისი მომავალი მუშაობის.

— **სახლი ახალგაზრდა უმუშევრებ-სათვის.** აღიძრა შუამდგომლობა მიწად მოქმედების კომისარიატის წინაშე, რათა შრ. სახ. კომისარიატს გადმოეცეს კოჯორის გზაზე მდებარე ორი სახლი, რომელიც ეკუთვნის ბოტანიკურ ბაღს.

— **შრომის ბირჟის გარეშე მიღების წინააღმდეგ.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა გამოაცხადოს ტფილისის წარმოება-დაწესებულებების დათვალიერების კვირეული. კვირეულის მიზანია გამოარკვიოს თუ ვინმე არის შრომის ბირჟის გარეშე მიღებული და მიიღოს მის წინააღმდეგ ზომები.

— **კოლოკვიუმები.** განათ სახ კომისარიატმა დაადგინა, შემოღებულ იქნას დროებითი ზომის სახით მომავალ სამოსწავლო წლისათვის სპეციალურ ტეხნიკუმებში შესვლის მსურველთათვის კოლოკვიუმები ქიმიურში, სასოფლო-სამეურნეოში და სამრეწველო-საეკონომიოში. თხოვნები მიიღება აგვისტოს 25-დან სექტემბრის 5-მდე.

— **რეორგანიზაცია.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა, მოხდეს შრომის ბირჟასთან არსებულ საერთო მაგიდის და ხელოვნების მუშაკთა კავშირის სექციის რეორგანიზაცია.

— **ს. ხელმძღვანელოების შესახებ.** განათლების კომისარიატმა წინადადება მისცა ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილებას, გადმოგზავნოს ტფილისში სახელმწიფო გამომცემლობის გამოცემის ნებართვის მისაღებათ, ქუთაისის სამეცნიერო საბჭოს მიერ განხილული და მიღებული ყველა სახელმძღვანელოები.

— **უპატრონო ბავშვების თავშესაფარში.** 1-ლი ივლისისათვის უპატრონო ბავშვების თავშესაფარში ირიცხებოდა 103 ბავშვი, ივლისში მიღებული იქნა ახლად 47 ბავშვი. თავშესაფარიდან ამავე ხნის განმავლობაში გამოირიცხა 65 ბავშვი.

— **მალიარიის წინააღმდეგი ბრძოლა.** ვინაიდან საქართველოში მალიარიამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო, გადასწყდა მიღებული იქნეს განსაკუთრებული ზომები მის წინააღმდეგ. ამ ჟამად სამალიარიო ექსპედიციები გაგზავნილი იქნა კახეთში, ზუგდიდში, სენაკში, ყარაიაზში და სხვა რაიონებში, საჭირო მედიკამენტებით.

— **მდინარე ცხენის წყლის ადიდების წინააღმდეგ.** სამეგრელოს მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე, რათა გაეწიოს მათ დახმარება ცხენის წყალის ნაპირების გამაგრების საქმეში, წყალდიდობის თავიდან ასაცილებლათ.

— **დროშა კავკასიის ცალკე არმიას.** საქ. პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა, მხურვალე მონაწილეობა მიიღოს კავკასიის ცალკე არმიის 5 წლის დღესასწაულში და ამ დღეს კავკასიის ცალკე არმიას გადასცეს განსაკუთრებული დროშა პროფკავშირების სახელით.

— **კრწანისის ბაღების მორწყვა.** ტფ. აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა წინადადება მისცა წყალთა სამმართველოს, რათა სასწრაფოთ შეადგინოს ტაბახმელის წყაროების შეერთების პროექტი, რომლის საშვალებით უნდა მოირწყას კრწანისის ბაღები.

— **სასპორტო წრეები მუშებისათვის.** ამ დღეებში ყველაზე უფრო დიდ ქარხნებში განზრახულია დაარსდეს მუშებისათვის სასპორტო წრეები.

— **უმუშევრები.** 9 აგვისტოს აღრიცხვაზე გამოცხადდა 631 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა 105, სამუშაოზე გაიგზავნა 60 კაცი.

ხელოვნება

საჭიროა თუ არა სიმფონიური კონცერტები.

ეს საკითხი ერთის შეხედვით ტრუიზმად გვეჩვენება, რადგანაც, ცხადია, სიმფონიური კონცერტები, როგორც კულტურის ერთი დარგი, ეჭვს გარეშეა, საჭიროა. სწორედ ამ თვალსაზრისზე სდგას, რესპუბლიკის მთავრობაც, როდესაც განათლების კომისარიატის საშუალებით მართავს ასეთ კონცერტებს ფართო მასშტაბით და არც ნივთიერ ხარჯს ერიდება სიმფონიური კონცერტების სათანადო დონეზე დასაყენებლად.

მართლაც ეს კონცერტები ძალიან პოპულიარულია და მას ესწრება არა მარტო სერიოზული სიმფონიური მუსიკის მოყვარულნი, არამედ ფართო მასსაც; დამსწრეთა უმრავლესობას მოზარდი თაობა შეადგენს. და სწორედ ამათთვის უნდა ქონდეს ამ კონცერტებს აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ყველა კულტურულმა ქვეყანამ დიდი ხანია შეიგნო ეს და მსოფლიოში არ მოიპოვება ისეთი კულტურული კუთხე, სადაც სიმფონიური კონცერტები არ იმართებოდეს ამა თუ იმ მასშტაბით.

მაგრამ სწორედ თავისი აღმზრდელობითი მნიშვნელობის გამო, საკონცერტო აუდიტორიებმა, შეძლებისამებრ გზა უნდა გაუხსნან ამ დარგის ყოველმხრივ გაცნობას და შეგნებულ მოპყრობას.

საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ასეთი კონცერტები, თუმცა პერიოდულად, მაგრამ მაინც წინადაც იმართებოდა, მაგრამ ხელმისაწვდენი არ იყო ფართო მასსისათვის, არამედ მხოლოდ ხელოვნების დამფასებელთა ვიწრო წრის ხვედრს წარმოადგენდა. ამისათვის ახლა კონცერტების მომწყობნი უნდა სცდილობდენ, რომ რაც შეიძლება ფართო მასსას აგემონ ხელოვნების სიამე.

ამისათვის საჭიროა, რომ კონცერტს წინ უძღოდეს მოკლე მოხსენება პროგრამის შინაარსის შესახებ. რათქმა უნდა, საჭირო არ არის, რომ ეს მოხსენებანი სპეციალური და ვრცელი იყოს. არ უნდა დავღალოთ აუდიტორია, რომლის უმეტესი ნაწილიც ჯერ მოუმზადებელია; საჭიროა მხოლოდ, რომ განათლების დაწესებულებებთან ახლო მდგომნი, ამ შემთხვევაში საოპერო თეატრისა, ან კონსერვატორიის მუშაკნი გააკეთებდნენ ასეთ მოხსენებებს ასეთი მოხსენებები არავითარ შემთხ-ვევაში არ უნდა დაევალოს კონცერტში მონაწილე დირიჟორებს, რადგანაც როდესაც მაესტრო ესტრადაზე ადის, ღელავს, ფიქრობს პროგრამის შესრულებაზე და მას ჩვენის აზრით განმარტებისათვის არა სცხელა.

ეს კულტურული მოვალეობა უნდა დაეკისროს სახელმწიფო ოპერის კონცერტმეისტრებს. ისინი რამდენიმე კაცია, თუ ყველა არა, უმეტესი მათგანი მაინც სახელმწიფო სამსახურში ირიცხება—ეხლა კი მათ ძალიან ცოტა სამუშაო აქვთ, რადგანაც ოპერებში ზამთრისათვის სამზადისი თუ სწარმოებს ისიც ძალიან მცირე მასშტაბით. ამისათვის ხსენებულ საქმეში კონცერტმეისტრების და აკომპანიორების ჩაბმა, ვგონებ, მიზანშეწონილი იქნებოდა ზაფხულის განმავლობაში, რადგანაც მთავრობა ხელს ვერ შეუწყობს სინეკურას თუნდაც ზაფხულის სეზონში—მთავრობას არა აქვს მოჭარბებული საშუალებანი. თუ კი კონცერტმეისტერი ზაფხულის განმავლობაში, როდესაც მუშაობა შეწყვეტილია, ჯამაგირს ღებულობს (და არც მცირეს), იგი მოვალეა იმუშაოს და მთავრობის ხარჯები გაამართლოს. მასზე დიდი ფული იმისათვის როდი იხარჯება, რომ თავისი „კომპოზიტორული ნიჭი" დააკმაყოფილოს. (უნდა ითქვას, რომ ძალიან საეჭვო ღირსებისაც).

„კომპოზიტორობა" (ვგონებთ, ავტორის გარდა, არავის სჭირდება) მოცლილ დროს უნდა, უპირველესად ყოვლისა კი საქმეა საჭირო.

გვინდა ვირწმუნოთ, რომ კონცერტმეისტერმა იცის მუსიკის ისტორია და თუ არ იცის, გაისარჯოს და ყოველი სიმფონიური კონცერტისათვის მოამზადოს მოხსენება.

კულტურის გულისათვის, ეს საქმე დაყოვნებას არ ითხოვს.

მუსიკოსი.

ნაციონალ-დემოკრატების განცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ)

პატივცემულო მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ გაზეთის ერთ ერთ უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი:

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი საქართველოს ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის წევრები, გავეცანით რა ნაც.-დემ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრთა დეკლარაციას, ამით ვაცხადებთ, რომ სავსებით და ყოველ პირობის გარეშე ვიზიარებთ დეკლარაციის ყველა დებულებას.

ჩვენ აუცილებლათ ვთვლით ნ.-დ. პარტიის ც. კ-ის დადგენილების შესრულებას პარტიის დაშლას კონფერენციის მოწვევის საშუალებით.

ჩვენის მხრით ჩვენ მივესალმებით ნ. დ. პარტიის ც. კ-ის წევრთა გაბედულ ნაბიჯს და მოუწოდებთ პარტიის ყველა წევრებს შესწყვიტონ ყოველგვარი მუშაობა საბჭოთა წინააღმდეგ [illegible] გადიოთ და [illegible] ჩვენ და ჩვენს უფროს ამხანაგებს და მით დაამტკიცონ თავისი ლოიალობა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ

1) **საყვარელიძე, ლუარსაბ მიხეილისძე** (შორაპნის სამაზრო კომიტეტის ყოფილი წევრი).

2) **ძებნიური მიხეილ მათესძე** (ყოფილი წევრი ც. კ.-ის 1918 წ.)

3) **ჯავახალია ალექსანდრე** (თანამგრძნობი 1919 წლიდან და პარტიის წევრი 1920 წლიდან).

4) **წულუკიძე ნიკოლოზ** (წევრი 1916 წლიდან).

5) **შონია მიხეილ** (ნაც,-დემ. მოწაფეთა არალეგარულ ც. კ-ის თავმჯდომარე)

ამხ. კოუტსი ბორჯომში

(წერილი ბორჯომიდან)

3 აგვისტოს ბორჯომს ჩამოვიდა „ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან" კომიტეტის მდივანი ამ. კოუტსი, რომელმაც დაათვალიერა დაწესებულებანი და სხვა და სხვა ადგილები.

საღამოს მუშათა თეატრის დარბაზში გამართა მუშათა გრანდიოზული მიტინგი; მთელი ბორჯომის მშრომელები: ქალი და კაცი, ახალგაზრდობა და ხნიერი მიეშურებოდა თეატრისაკენ, საბჭოთა რესპუბლიკების ძვირფას მეგობრის და საყვარელ სტუმრის მოხსენების მოსასმენათ... დარბაზი გაჭედილი იყო შრომის შვილებით.

მიტინგი გახსნა აღმასკომის თავმჯდომარემ ამ. ჩხაიძემ, რომელმაც გააცნო დამსწრეთ ამხ. კოუტსის პიროვნება, მისი ჩამოსვლის მიზანი და მიესალმა.

მიტინგის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ჩხაიძე.

საპატიო თავმჯდომარეებათ: ამხ. ლენინი, ზინოვიევი, ტროცკი, მახარაძე, ორახელაშვილი, ცხაკაია და კოუტსი.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ყამარაულმა და პროლეტარულ ახალგაზრდობის სახელით— ფრანგიშვილმა.

შემდეგ მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა ამხ. კოუტსს, რომელსაც მშრომელთა ზღვა მხურვალე აღტაცებით შეხვდა.

ამხ. კოუტსი რამოდენიმე სიტყვას ამბობს რუსულად: „ამხანაგებო! ვინაიდან მე არ ვიცი ქართული ენა, ამიტომ ვილაპარაკებ ინგლისურათ, რაც იქნება გადათარგმნილი",—ამის შემდეგ ლაპარაკობს ინგლისურათ და ყოველი რამოდენიმე ათეული სიტყვა ითარგმნება რუსულად და ქართულად.

ამხ. კოუტსმა აღნიშნა: „...კომიტეტი „ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან" დაარსდა 1919 წელს და შესდგება მუშებისაგან. ამ კომიტეტმა დაარსებიდანვე დაიწყო დიდი მუშაობა საბჭოთა რუსეთის სასარგებლოთ რვა მილიონიან ინგლისის პროფკავშირთა წევრებს შორის. ინგლისის მთავრობა იძულებული შეიქნა თავისი ჯარი გაეყვანა საბჭოთა რუსეთის ტერიტორიიდან... 1920 წ. ინგლისის მთავრობა ფიქრობდა პოლონელების დახმარებას, მაგრამ მოეწყო მუშების უნახავი დემონსტრაციები, რის გამო ლოიდ-ჯორჯმა და ბურჟუაზიულ პრესამ ომზე უარი განაცხადა... რომ დაეწყოთ ომი, ინგლისის მთავრობა ორმოცდა რვა საათის მეტს ვერ იარსებებდა... 1921 წ. მარტში ინგლისის მთავრობამ სრულიად უარი განაცხადა რუსეთის საწინააღმდეგო ომზე. წარმოებულ იქნა პროპაგანდა დიპლომატიური და სავაჭრო მოლაპარაკებათა დასაწყებათ, რაც იქნა ცხოვრებაში განხორციელებული, უკანასკნელ ხანებში წარმოებულ იქნა პროპაგანდა, რომ მიეცათ სესხი საბჭოთა რუსეთისათვის და ეცნოთ ის დეიურე.

1923 წლ. კრიზისის დროს კომიტეტის ხელმძღვანელობით ყოველ კვირაში ეწყობოდა 1500—2000 დემონსტრაცია, რომელთაც გამოჰქონდათ პროტესტები კერზონის ნოტის საწინააღმდეგოთ. პროტესტები ისეთი ძლიერი იყო, რომ კერზონმა ოფიციალურათ გამოაცხადა პრესაში: ჩემს კანცელიარიას არ შეუძლია ყველა პროტესტებს გასცეს პასუხი.

ჩემის აზრით, ამ კრიზისმა უფრო განამტკიცა ინგლისის მუშათა საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა რუსეთის სასარგებლოთ. ამ კრიზისმა მოგვიტანა მეტი სარგებლობა, ვინემ ხუთი წლის აკადემიურ პროპაგანდამ.

ჩემი მიზანი იყო მენახა საბჭოთა რესპუბლიკების სინამდვილე და კიდეც, როდესაც ჩამოვედი, მე არ მოველოდი თუ იმდენ ფრიად მნიშვნელოვანს და კარგს ვნახავდი საბჭოთა რესპუბლიკებში..

რომ თანდათან უმჯობესდება საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობა, ეს კარგათ იცის კერზონმა და მისმა მეგობრებმა, ამიტომ უნდოდათ აპრილში ომის დაწყება, მაგრამ...

ევროპაში მუშას რომ შეეკითხოთ მდგომარეობის შესახებ, გეტყვით... მდგომარეობა თანდათან უარესდება... საბჭოთა რესპუბლიკებში კი თანდათან უმჯობესდება.

ევროპაში მიტინგი წარმოადგენს მიცვალებულის გასვენების პროცესიას, საბჭოთა რესპუბლიკებში კი —მიტინგი მომაგონებს ქორწილს... როდესაც პირველია, მაშინ ამბობენ შემდეგ ვინ მოკვდებაო, ხოლო ქორწილის დროს ამბობენ ვინ დაქორწინდება ..

არ შემიძლიან აქ დამსწრე ქალთა საყურადღებოთ არ ვილაპარაკო შემდეგი. ინგლისში ქალები ძლიერ დაჩაგრულნი არიან. ისინი ვერ ღებულობენ მონაწილეობას რევოლიუციონურ მოძრაობაში. საბჭოთა რესპუბლიკებში კი ქალები ყოველ მხრივ განთავისუფლებულნი არიან და ჩაბმულნი აღმშენებლობითი საქმეში...

ყოველივე ის სასიხარულო სინამდვილე, რაც მე ვნახე საბჭოთა რესპუბლიკებში, რომ გადავსცე ინგლისის მუშათა კლასს, მას ეს უფრო დაარწმუნებს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია ახალ ცხოვრების შენება, მუშათა კლასის ბედნიერების ჭედვა.. მაგრამ საჭიროა არა მარტო პერსონალურათ ჩემი და ჩემ მისთანა მეგობრების ჩამოსვლა საბჭოთა რესპუბლიკებში, არამედ მუშათა დელეგაციების, რომლებმაც უნდა დაინახონ აქაური სინამდვილე, კარგად დარწმუნდნენ და ისინიც ისევე მოიქნენ, როგორც მოიქცა აქაური მუშათა კლასი. თქვენ თუ ისურვებთ, მე მომავალ წელს ასე ჩამოვალ და გინახულებთ ბორჯომში (ხმები—გთხოვთ, გთხოვთ დიდათ სასიხარულოა)...

კერზონები ეხლა არ არიან საშიშნი... საქმიან პროპაგანდას ეწევა თვით საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასი, რომელიც ჩაბმულია ახალ ცხოვრების აღმშენებლობაში.

ერთად ერთი გაიძვერა და მატყუარა ხალხი, რომელსაც შეუძლია ვისიმე მოტყუილება, ეს არის ქართველი მენშევიკები.

ჩვენ ამდენ ხანს დრო არ გვქონდა გაგვეცა პასუხი ჟორდანია და მისი კომპანიისათვის, მაგრამ ეხლა კი ყოველგვარ მათ ლაყბობას გამოეცლება ნიადაგი...

მე საქართველოში ვხედავ და კარგად გამოვარკვიე, რომ არავითარი ის, რასაც ამბობდნენ... არ არის მართალი: თვით მუშები და გლეხები ამბობენ და თქვენც ადასტურებთ, რომ წითელი არმია ეს თქვენი ინტერესების და მშვიდობიანობის დამცველია, „ჩეკა" არავითარ ძალადობას არ ხმარობს. მე თვით ვნახე კათალიკოსი ამბროსი და გამოირკვა, რომ ძლიერ კარგათ სცხოვრობს..."

იმ სიტყვების მოსმენის დროს, როდესაც ამხ კოუტსი აღნიშნავდა, რომ ასეთი დახმარება იქნა გაწეული საბჭოთა რესპუბლიკისადმი, დამსწრე მუშების მხურვალე ტაში გრიალებდა... მენშევიკების ყოველგვარ გაიძვერობის შესახებ სიტყვებს ხვდებოდნენ „ზიზღი"-ს და „მოღალატე"-ს ყიჟინით.

იყო მრავალი შეკითხვები, რომელთაც უპასუხა ამხ. კოუტსმა.

მოხსენების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ყოფილმა მენშევიკმა, პედაგოგმა **დეკანოზიშვილმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ მშრომელთა ინტერესების დაცვა შესძლო მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ, მხოლოდ საბჭოთა მთავრობა აქცევს უდიდეს ყურადღებას კულტურულ ფრონტს. არამც თუ ქვედა ფენებმა მენშევიკური პარტიისა დასტოვეს მენშევიკური გზა, არამედ ჭეშმარიტი და მშრომელი ინტელიგენტებიც ზურგს აქცევენ მას და სრულიად ლიკვიდაცია ეყო მენშევიკურ პარტიას. ამის შემდეგ გაქცეული ვაჟბატონები როგორ ბედავენ გამოვიდენ ქართველი ხალხის და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სახელით! მე და ყველა ჩვენი ამხანაგები გთხოვთ ყოველივე ეს გადასცეთ ევროპის მუშათა კლასს..

მუშა ქალთა სახელით ამხ. კოუტს მიესალმა გუდკოვა და აგრეთვე სხვ. აუარებელი იყვნენ სხვა და სხვა წარმოების მუშების წარმომადგენლები, რომელთაც სურდათ კიდევ მისალმება ამხ. კოუტსისადმი, მაგრამ სიგვიანის გამო შეუძლებელი იყო.

მოხსენების გამო ერთხმად და დიდი აღტაცებით გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, სადაც მიტინგი მხურვალედ მიესალმება ინგლისის მუშათა კლასს, კიდევ აცხადებს საერთაშორისო მუშათა კლასის საყურადღებოთ, რომ ერთად ერთი ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია მუშათა კლასის ინტერესების დაცვა, ეს არის საბჭოთა მთავრობა ამ გზას უნდა გაჰყვეს ყველა ქვეყნების მშრომელნი.

სასტიკ ზიზღს უცხადებენ გაქცეულ მენშევიკებს, რომელნიც ეწევიან მუშათა კლასის საწინააღმდეგო მუშაობას.

საერთაშორისო მუშათა კლასს განთავისუფლებს ჩაგვრისაგან თავისი ხელმძღვანელობით მხოლოდ კომინტერნი.

დასასრულ ამხ. ჩხაიძის სიტყვის შემდეგ მიტინგი ზეიმით დაიხურა... ავტომობილით მიმავალ კოუტს მუშები „ვაშა"-ს. ძახილით აცილებდნენ, მშრომელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ამდენხანს, ისე ამ დღესაც ბორჯომის მუშებმა სთქვეს თავისი მძლავრი სიტყვა, რომ მას სურს და თავს შესწირავს საბჭოთა მთავრობას,

ჟორა მუშათაშვილი.

მუშათა ცხოვრება

დღეს, 12 აგვისტოს, დილის 9 საათზე გაზ. „კომუნისტი"-ს ბინაზე დანიშნულია ჩვენი მუშა-კორესპონდენტების მორიგი კრება.

კრების შემდეგ მუშკორები დაათვალიერებენ ქართ. საისტ.-ეთნოგრ. მუზეუმს.

ყოველი მუშკორი ვალდებულია გამოცხადდეს ამ დღეს რედაქციაში დანიშნულ დროს.

ზემო-ავჭალის მიდამოებში

(მუშკორების ექსკურსიის გამო)

„კომუნისტის" რედაქციამ მოგვიწოდა თანამშრომლებს,
სანდო პირებს გაგვაყოლა, როგორც მებრძოლ წინამძღოლებს:
გზა-გზა სალამს მივუძღვნიდით ყველა შრომის თანამგრძნობლებს,
ორ დღით ზრუნვას ვივიწყებდით, ვასვენებდით ქარხნის ბორბლებს.

ჯერ პირველად მივესალმეთ ძველად ნაშენ „სვეტიცხოველს",
ღვდელ-მოლოზანს ვესაუბრეთ, ტაბლა-საწირავის მთხოველს,
წარსულ დროთა გვიხატავდა ქარიშხლიანს, სისხლის მწოველს
და ამნაირად ვიკვლევდით ისტორიულ ამბებს ყოველს.

შემდეგ სოფლად გავიარეთ; დარი დადგა მეტად მშვიდი;
არაგვის პირს მზად დაგვიხვდა ახლად ნაკეთები ხიდი: —
„გასწი, გასწი, მეგობარო! წინ იარე, ნუ გაქვს რიდი.
აქ არც სასყიდლად მოსულხარ, არც რამე გაქვს გასაყიდი"!..

ავჭალისკენ გადავედით, არ ვეძებდით მინდვრად ლანძილს,
სიამისგან ვერ ვამჩნევდით რამდენიმე ვერსის მანძილს,
დიად საქმეს წავადექით, ბევრი შრომით გამოკვანძილს,
აქ რა უნდა ცუღლუტობას? რა ალაგი ჰქონდა აქ ძილს?!

ვნახეთ სურვილ-მისწრაფებით განაღარი დიდი არხი;
ათასამდის მუშაობდა ყველა ერთი აზრის ხალხი;
მარჯვე ხელი ტრიალებდა ბორბალივით, როგორც ჩარხი,
გენაცვალე თეთრო გულო, არ მოიცხო შავი, თალხი!

აქა არის სამკითხველო, და ახალი კოხტა სცენა,
მოწყობილი სამხერხაო მზარეულის ალმაფრენა...
შესაფერად ვერ აგიწერთ ჩემი სუსტი, ჩლუნგი ენა.
მგონი მტკვარსაც უხაროდა ახალ კალაპოტში დენა!..

უზარმაზარი სადგური უსვენებლივ შენდებოდა,
ძველი თბილისის მიდამო თანდათანა მშვენდებოდა,
წყვდიადისგან მოცულ ქოხებს მალე გაუთენდებოდა,
უპურმარილო მოყვარეს თვალი დაუბნელდებოდა.

კვალად მეხეთას დავუბრუნდით. ვნახეთ ბევრი სასახელო,
სადგურის უფროს დათიამ ჩვენ დაგვითმო ბაღში მდელო,
ახლა ვარჩევთ შავსა და თეთრს, შორს მაცდურო, საძაგელო!
ვერ მოვითმენ, რომ არა ვთქვა კარგი კაცის სადღეგრძელო.

ვაშა, მუშის მაგარ ძარღვებს! ვაშა, შრომას დაუღალავს!
ის სიბნელეს გააშუქებს, გზას გაგვიხსნის, გაგვიკვალავს,
მტერი ველარას დააკლებს, ვერც ვერაფერს დაუმალავს,
ყველა ქვეყნის მუქთახორას მუქთად ყოფნას აუკრძალავს!

მუშკორი გიგო ხეჩუაშვილი.

ყოვლად დაუშვებელი მოვლენა

(მეორე რაიონის შრომის ინსპექტორის საყურადღებოდ.)

„კინო-პალასის" პირდაპირ არსებობს კინო-ფოტოგრაფიული კანტორა „ფილმა". ეს კანტორა ეკუთვნის კერძო პირს და აქაური მუშა-მოსამსახურენი—შრომის ხელფასის მიღების მხრივ კმაყოფილნი არიან. მაგრამ აქ ერთს ყოვლად დაუშვებელ მოვლენას აქვს ადგილი. საქმე შემდეგშია: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე ხსენებულ მუშა-მოსამსახურეებს არავითარი შვებულება არ ღირსებიათ, როგორც სხვა დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთ. შრომის კანონთა კოდექსის ძალით 5—ნახევარ თვის შრომის შემდეგ ყოველი მუშა-მოსამსახურეს ეძლევა ორი კვირით შვებულება. ან თერთმეტი თვის შრომის შემდეგ ერთი თვის შვებულება. აღნიშნულ კანტორის მუშებისთვის არავითარი შრომის კანონები არ არსებობს. აი მაგალითიც: ერთმა მუშა ქალმა რამოდენიმე კვირის წინედ დაიკავა დასასვენებელი სახლი, და კანტორის გამგეს მიმართა შვებულების შესახებ. გამგემ კი დაცინვის კილოთი უპასუხა მუშა ქალს: „შენი მოადგილე ვინმე იშოვნე,—და შენვე მიეცი მას ხელფასი—და შემდეგ შეგეძლება შვებულება მიიღო"-ო. მუშა ქალმა შიშით სიტყვის წარმოთქმა ველარ გაჰბედა, რადგან დათხოვნისა ეშინოდა—და მან მიანება თავი შვებულებას. საბრალო ქალი დღემდე იწევა დაუსვენებელ უნუგეშო შრომას. ამის შემდეგ კიდევ ერთ მუშას, რომელიც დიდს ავადმყოფობას განიცდის და აქაურ მუშებში ძველ მუშად ითვლება, ვერ მოუხერხებია შვებულების მიღება მუშა ძალიან სუსტადაა და ჰარაქათ-გამოლეულს ხშირად დასდევს გულყრა და სხვა. საჭიროა ამ ბატონყმურ მოვლენას ბოლო მოეღოს ერთხელ და სამუდამოდ და ღირსეულ მუშებს მიეცეთ დაკანონებული შვებულებები.

მუშკორი **გ. მ—შვილი.**

თუთუნის ქარხანა „პროლეტარიატი"-ს მუშათა საერთო კრება

7 აგვისტოს ხსენებულ ფაბრიკაში მოხდა ადგილობრივ მუშათა საერთო კრება. დღიურ წესრიგში დასმული იყო სამი საკითხი:

1. ქალაქის საბჭოს ექვსი თვის მუშაობა.
2. საშეფო კომისიის მოხსენება სოფელ ბადიაურის შესახებ და სხვ
3. საბჭოთა საჰაერო ფლოტის მნიშვნელობა.

პირველ საკითხზე მომხსენებლად გამოვიდა ამხ. ეკატერინა მიხაილოვა, რომელმაც მოკლე მოხსენებაში აღნიშნა ქალაქის საბჭოს ნაყოფიერი მუშაობა, რასაც მოწმობს ქალაქის ტრამვაის გაუმჯობესება, ავჭალის-წყალსადენის, აბანოების და სხვა მრავალი ასეთი დაწესებულებების შემოსავლიანობა და სხვა. მუშათა საერთო კრება საბჭოს მუშაობას დამაკმაყოფილებლად სცნობს და უსურვებს მას შემდეგშიაც ასეთ ნაყოფიერი მუშაობას. მოხსენების გამო კრებას შესაფერისი რეზოლიუცია გამოაქვს. შემდეგ მოხსენება გააკეთა საშეფო კომისიის ერთმა წევრმა ამხ. პეტროსიანცმა, რომელმაც დაწვრილებით გააცნო მუშებს სოფელ **ბადიაურის** გლეხთა ჩამორჩენილობა და გაჭირვებული მდგომარეობა მატერიალურად. დღევანდლამდე მათთვის არ არსებობს არავითარი სკოლა; არ ღებულობენ (რამდენიმე კაცის გარდა) გლეხები ჟურნალ-გაზეთებს, რის გამო ისინი მოკლებულნი არიან ყოველგვარ საჭირო ცნობებს,—იმის შესახებ, თუ რა ხდება ან რა კეთდება ქალაქ თბილისში და მის მიდამოებში. აქ მხოლოდ, ერთი, ან ორი ნომერი გაზეთ „რაბოჩაია პრავდა,"-სი მოდით და იმის კითხვასაც ვერ ახერხებენ სიბნელისა გამო, რადგანაც დღისით ყველა შრომაშია გართული და ღამით კი უნავთობის გამო მთელი სოფელი ძილის სამეფოს წარმოადგენს. ასე, რომ საღამოს 8 საათზე სოფელი უკვე ღრმა ძილს არის მიცემული; „ამიტომ ჩვენ შევპირდით, დასძინა მომხსენებელი,—რომ რითაც და როგორც კი შეიძლება ხელი შეუწყოთ მათ და მივაწოდოთ ის, რაც კი აუცილებელ მოთხოვნილების საგანს შეადგენს მათთვის. ამ მოხსენების შემდეგ საერთო კრებამ მიიღო თავის თავზე, რომ ყოველთვეში მათი სასარგებლოდ თვიურად ყოველმა მუშამ გადაიხადოს 500.000 მან. საჭირო წიგნების და ჟურნალ-გაზეთების შესაძენად; გარდა ამისა კრება სწყვეტს გაუგზავნოს აგრეთვე გლეხებს ყველა ის წაკითხული ჟურნალ-გაზეთები, რომელიც აქვთ გამოწერილი თვით მუშებს. საჰაერო ფლოტზე მოხსენება გააკეთა ამხ. გურგ ნ ვარდოინმა, რომელმაც აუხსნა მუშებს საბჭოთა საჰაერო ფლოტის მნიშვნელობა და აუცილებლობა, როგორც მუშათა თავისუფლების შესანარჩუნებლად, აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების გამტკიცებისათვის.

მუშები სავსებით იზიარებენ მომხსენებლის აზრს და ადგენენ წითელ ფლოტისთვის გადასდონ ერთი დღის ნამუშევარი.

მუშკორი ალ. ბ—შვილი.

მისაბაძი მაგალითი.

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

ამხ. ტროცკის ქუჩაზე № 10 მოთავსებულია უზარმაზარი საბჭოთა სახლი. აღნიშნულ სახლში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეებმა ამ დღეებში დაარსეს საბინაო ამხანაგობა, რომელმაც უკვე შეიმუშავა თავის მოქმედება-მუშაობის სახელმძღვანელო გეგმა და წესდება. ამხანაგობაში შედიან მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარული ელემენტები (მუშები და საბჭოთა მოსამსახურეები). საბინაო ამხანაგობის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ქალ. აღმასკომს საბჭოთა სახლის შეკეთება-აღდგენაში; შეინახოს სახლი დაუზიანებლად, დაიცვას ეზოში და სახლში სანიტარული და ჰიგიენური პირობები; დაამყაროს მდგმურებს შორის კოლექტიური გრძნობა, ერთმანეთისათვის დახმარება და სხვა.

სწორედ მისაბაძია აღნიშნულ მდგმურების მაგალითი და იმედია, რომ ამგვარი ამხანაგობები დაარსდებიან ყველა საბჭოთა და მუშათა სახლებში, რომელნიც იკისრებენ აღნიშნულ სახლების შეკეთება-აღდგენას და ამით ხელს შეუწყობენ ქალ. აღმასკომს ქალაქის მეურნეობის აღდგენაში.

მუშკორი განი.

მუშათა კლუბში.

1923 წ. სამშაბათს, 7 აგვისტოს მუშათა ცენტრალურ კლუბში საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ გაიმართა საღამო-წარმოდგენა. თუმცა მოღრუბლული და წვიმიანი დარი იყო, ხალხი ბლომათ-დაესწრო, რადგანაც ყოველი მუშა თავის თავს ვალდებულათ რაცხდა ამ დიად საქმეში თვისი წვლილიც შეეტანა, რათა ამით მოეხადა მორალური ვალი საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

ამ საღამოსათვის კლუბის ბაღი განსაკუთრებით იყო მორთული, სათანადო პლაკატებით, სადღესასწაულო ლოზუნგებით.

წარმოდგენა ცოტა გვიან დაიწყო, რადგანაც მუშათა აუდიტორია მომხსენებლის მოლოდინში იყო. წარმოდგენის წინ სცენაზე გამოდის 1-ლი საბჭოთა თეატრის რეჟისორი ნ. შესტოვი, რომელმაც შინაარსიანი მოხსენება გააკეთა საჰაერო ფლოტის შესახებ, მის მნიშვნელობაზედ და დანიშნულებაზე მომხსენებელი შეეხო აგრეთვე დღევანდელ თეატრს, თუ რას ემსახურება იგი და რა იდეის მატარებელი უნდა იყოს თეატრი. შემდეგ მან განმარტა პიესა **„წითელი არწივები"**-ს შინაარსი; მომქმედ პირის მისწრაფება და ხასიათი. ამ მოხსენებამ დიდი თანაგრძნობა გამოიწვია დამსწრეთა შორის და მომხსენებელიც სათანადოთ დააჯილდოვეს ტაშით.

ამ საღამოს დაიდგა სტახეევის პიესა **„წითელი არწივები"**. 3 მოქ. დრამა აღებული წითელი მფრინავების ცხოვრებიდან; პიესა თუმცა დიდ მხატვრულ ნაწარმოებს არ წარმოადგენს, მაგრამ შესანიშნავია, როგორც თანამედროვე, სააგიტაციო-სარევოლიუციო პიესა, შესანიშნავია იგი თვისი შინაარსით და ბუნებრივობით; პიესაში გამოყვანილია ღარიბი გლეხკაცის ოჯახობა და წითელი მფრინავები —გლეხებიდან.

თუმცა პიესა დაიდგა საზაფხულო სცენაზედ, მაგრამ მაინც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზედ, ეტყობოდა გამოცდილ რეჟისორ შესტოვის ხელი, ყოველი დეტალი და შტრიხი პიესისა ნათლად იყო აღბეჭდილი. შესრულების მხრით პიესა კარგად იყო წარმოდგენილი. ყველას შესაფერისი როლი ეკავა და სინიდისიერად ასრულებდა მას. განსაკუთრებით კარგი იყო ვიქტოროვისა, კუდრიაშევი და ბარმატოვი.

ჩვენი მუშური სალამი საჰაერო კვირეულის მომწყობ ორგანიზაციას, და გამარჯვება ამ დიად, სახელმწიფოებრივ საქმეში. გაუმარჯოს საჰაერო ფლოტს!

მუშკორი მელითონე

მეზღვაურ გაფიცვა ნორვეგიის გემ „მატილდა"-ზე ფოთის ნავთსადგურში

ფოთის ნავთსადგურში უკანასკნელ თვეებში ყოველ დღიურად დგანან რვა-ცხრა ოკეანეს გემები, რომლებიც იტვირთებიან ჭიათურის მარგანეცით- უმეტესობა გემების ეკუთვნის ინგლისელებს, შემდეგ ამერიკელებს და უმცირესი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებს. თითო გემს მიაქვს საშუალოდ 500—600 ათასი ფუთი და ამიტომ მისი დატვირთვა გრძელდება ათითორმეტი დღე. ერთდროულათ იტვირთება ექვსი გემი, დანარჩენები კი დგანან რიგზე და უცდიან თავის რიგს.

უნდა აღინიშნოს, რომ შავი ქვის (მარგანეცის) გაზიდვა თანდათან ფართოვდება. თუ ერთი თვის უკან მუშაობდა გემებზე 467 კაცი—დღეს მათი რიცხვი შვიდასზე მეტია. გემების პატრონები, გემის მოსამსახურეებს ქირაობენ ერთ რეისზე, რომელიც გრძელდება სამი ოთხი თვე. მათ აქვთ ხელშეკრულება, რომლის ყველა მუხლები ვალდებულნი არიან შეასრულონ როგორც კაპიტანმა, ისე მოსამსახურეებმა.

როდესაც გემი გავა ზღვაში, შემდეგ კაპიტანი არ ასრულებს თავის მოვალეობას და დაბალ მოსამსახურეებს ავიწროებს. გემ „მატილდა"-ზე ქონდათ ხელშეკრულება, რომლის ძალით თითო მოსამსახურეზე უნდა დაიხარჯოს ყოველ თვიურად არა ნაკლებ ხუთი გირვანქა სტერლინგი საჭმელისთვის, კაპიტანი კი ხარჯავდა არა უმეტეს ორ გირვანქისა ყოველთვიურად და დანარჩენს კი ქეიფსა და ქალებში ფლანგავდა. მეზღვაურ მიმართეს კაპიტანს არა ერთხელ, რათა მათზე დაწესებული ფული მათ ხმარდებოდეს და არ იხარჯებოდეს კაპიტანის ქეიფში. კაპიტანი კი მათ მოთხოვნილებას სიცილით ხვდებოდა. მოთმინებიდან გამოსულმა მოსამსახურეებმა, რიცხვით 20 კაცამდე, დაბოლოს წაუყენეს კაპიტანს შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) მიეცა უფლება მათთვის, რათა მოსამსახურეთა წარმომადგენელი ღებულობდეს მონაწილეობას სურსათ-სანოვაგის შეძენაში. 2) დაინიშნოს სამზარეულოში ერთი კანტროლიორი და 3) არავინ იქნას სამსახურიდან დათხოვნილი. ამ მოთხოვნილებებს წაყენების გამო.

ამის შემდეგ ისინი მოიხსნენ გემიდან, გამოცხადდენ რაიონულ მეზღვაურთა კავშირში და მოითხოვეს მათი უფლებების დაცვა. ექიმებმა შეამოწმეს მათი ჯანმრთელობა და დამტკიცდა, რომ ცუდი საჭმელის გამო—არც ერთ მათგანს არ შეუძლია განაგრძოს მუშაობა. კავშირმა აიყვანა ისინი თავის ხარჯზე გაფიცვის დამთავრებამდე. ამავე დროს ადგილობრივ გადამტვირთელთა მუშებმა გადასწყვიტეს, თუ კაპიტანი არ დააკმაყოფილებს მატროსების მოთხოვნილებას, იმ შემთხვევაში ისინი მიანებებენ თავს გემ „მატილდა"-ს ტვირთვას და გადავლენ მეორე მორიგ გემზე. გაფიცვა დაიწყო დილის 7 საათზე და მეორე დღეს 12 საათზე დამთავრდა მატროსების გამარჯვებით.

როგორც სჩანს, მოთხოვნილებები იყო სულ უბრალო, არავითარი პოლიტიკური ხასიათი მას არ ქონია. ასეთი მოთხოვნილება რომ საბჭოთა რესპუბლიკებში ვინმეს წაუყენო, სიცილათ არ იკმარებს. ეს ხომ უბრალო ელემენტარული კანონია საბჭოთა კავშირში. მატროსები თხოულობდენ მხოლოდ იმას, რაც მათ ეკუთვნოდა იმავე გემის მეპატრონის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებით.

ასანიშნავია ის მდგომარეობა, რომ მოვა თუ არა უცხოეთის გემი ფოთის ნავთ-სადგურში. მატროსები იმ დღესვე მოდიან მეზღვაურ კავშირში, ეცნობიან მის წესდებას, მართავენ კამათს და კითხულობენ წიგნებს უცხო ენებზე, რომლებიც მოიპოვება ინტერნაციონალურ კლუბში: მათ ძლიერ აინტერესებს საბჭოთა კავშირის მეზღვაურობის მდგომარეობა, ყოფა-ცხოვრება და საერთოდ საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური მდგომარეობა. როდესაც მოკლედ გაეცნობიან მდგომარეობას ამბობენ—რას გვეუბნებოდენ და რა ყოფილაო.

მატროსები დიდი მადლიერი დარჩენ ადგილობრივი მუშებით, რომლებმაც გაფიცვის დროს მათ მხარი დაუჭირეს.

უკანასკნელი მუხლი მოთხოვნილებისა კაპიტანმა შეასრულა და მისცა მათ პირობაც არ დაითხოვოს რეისის დამთავრებამდი.

აასრულებს ამას? ჩვენ გვგონია არა ის გასცილდება თუ არა საბჭოთა წყლებს, დაითხოვს მათ სამსახურიდან. მეზღვაურთა მოთხოვნილებები შესრულდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იქაც საბჭოთა წესები გამოცხადდება.

პ. მეგრელიშვილი.

ბიბლიოგრაფია

ჟურნალ „გრდემლი"-ს № 6

ეკონომიურ-პოლიტიკურ მონობისაგან განთავისუფლებული მუშათა კლასი სცდილობს ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება დააგვირგვინოს სრული გამარჯვებით აგრეთვე კულტურულ იდეოლოგიურ ფრონტზე. მუშათა კლასის ეს ფრონტი მომავლისთვის ყველაზე უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენს, უფრო მეტ ყურადღებას და წინდახედულობას მოითხოვს. აუცილებლათ უნდა მოხდეს ძველი ბურჟუაზიულ ფეოდალური მეცნიერების, ხელოვნების და მთელი მსოფლ-მხედველობის გადარჩევა, გაწმენდა კომუნისტური თვალსაზრისით ყველა ღირებულებათა განსჭვრეტა გადაფასება. ეს ასეც ხდება და როგორც პერიოდული გამომცემლობა, ისე ყოველდღიური პრესა ამ პროცესს მთელი თავისი ძალღონით და გამოცდილებით ხელს უწყობს.

უდავოა რომ, მუშათა კლასი კულტურულათაც დღითი დღე იზრდება, ძლიერდება, ღრმავდება მისი მსოფლმხედველობა, ცხოველდება მისწრაფება პროლეტარული კულტურისა და იდეოლოგიის შესაქმნელათ. იზრდება მისი კულტურულ-ესტეტიური მოთხოვნილებაც, რომლის დასაკმაყოფილებლათაც საჭიროა სათანადო შინაარსის წიგნების და ჟურნალ-გაზეთების მიწოდება. პოლიტიკური ლიტერატურა არ კმარა, საჭიროა სამეცნიერო და სამხატვრო ნაწარმოებთა გამომცემლობის გაფართოება, რომლის ნიშნები უკვე სჩანს როგორც საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრში, ისე საქართველოში.

პერიოდიულ სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალს შეუძლია დიდი როლი შეასრულოს მასის აღზრდაში, ჟურნალი „გრდემლი" ამ მხრივ პირნათლად ასრულებს თავის დანიშნულებას.

„გრდემლი"-ს უკვე მეექვსე ნომერია გამოსული და უნდა ითქვას, რომ მასალის მხრივ ყველა მისი ნომრები საერთოდ დამაკმაყოფილებელია. ჟურნალში იბეჭდებოდა როგორც ორიგინალური ისე ნათარგმნი ლიტერატურა რუსეთის და ევროპის მწერლობიდან, მასალა ყოველთვის შერჩეული და შეფარდებულია ახალი მკითხველის გემოვნება მოთხოვნილებასთან.

„გრდემლი"-ს მეექვსე ნომერში მოთავსებულია სოფ. მგალობლიშვილის „და შეჰფიცეს" ამბავი განმათავისუფლებელ მოძრაობის დროიდან. პავლე საყვარელიძის „ეკლიან გზაზე" მეტად საინტერესო ძვირფას მასალას და სურათებს იძლევა ქართველ რევოლიუციონურ მოღვაწეთა წარსული ცხოვრებიდან, მაგრამ შეიძლება ზედმეტი იყოს განმეორებით მისი დაბეჭდვა, თუ მალე ამავე ჟურნალის ნომერში ვერ ვიხილეთ მისი გაგრძელება და დასასრული.

უცხოეთის მწერლობიდან ჟურნალში იბეჭდება მხოლოდ ისეთი ავტორთა ნაწარმოებნი, რომლებიც მუშათა კლასის და ჩაგრულ ერთა ყოფა-ცხოვრებას და მისწრაფებას გადმოგვცემენ. ბიოგრაფიულ კრიტიკულ ცნობებთან ერთად ჟურნალი გვაწვდის ამ ავტორების რჩეულ ნაწარმოებთა ნიმუშებს ქართულ ენაზე, რაც მეტად მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს. ასეთია მაგალითად ამ ნომერში დაბეჭდილი ცნობები მარსელ მარტინეს შესახებ და შემდეგ მისივე „შენ მიდიხარ საომრად".

საფრანგეთის ცნობილი მწერალი ანრი ბარბიუსი, რომელიც უკანასკნელ დროს კომუნისტურ პარტიის რიგებში ჩადგა, თავისი პიროვნებით და თხზულებებით დიდათ საინტერესოა მთელი ქვეყნის მუშათა ხალხისთვის. ჟურნალი აკმაყოფილებს ამ ინტერესს და მოკლეთ აცნობს მკითხველებს ანრი ბარბიუსის მოღვაწეობას საერთაშორისო ომის დასაწყისიდან და მოყავს თარგმანი მის ცნობილ მანიფესტისა, რომელსაც ხელს აწერენ საფრანგეთის სხვა ცნობილი მწერლებიც.

ჟურნალში მოყვანილია საქართველოს პროლეტარულ მწერალთა შემოქმედების ნიმუშებიც, როგორიცაა მაგ. ნ. ზომლეთელის „გარდაქმნა", ჩიქოვანის „დასავლეთი", იონა ვაკელის „დაღონებული პირამიდები" და „ქარხნის ჰანგები". აქვე მოთავსებულია ჰაზენკლევერის „პოლიტიკური პოეტი". და ცნობილ მაიკოვსკის „მისტერია ბუფფ"-ის თარგმანი. დასასრულ ჟურნალში მოთავსებულია წერილი „ოლიმპიადას გამო" და „ნარევი".

ჟურნალი მდიდარია ილიუსტრაციებით საბჭოთა აღმაშენებლობიდან, როგორც ზემოავჭალის ჰიდროელექტრონის სადგური მისი სხვადასხვა განყოფილებებით, ქალაქის გამშვენიერება და მოწყობა, რას წაიღებს საქართველო რუსეთის სასოფლო მეურნეობის გამოფენაზე და სხვა... ერთი სიტყვით ჟურნალი სავსებით აკმაყოფილებს ახალი მკითხველის მოთხოვნილებებს და ხელს უწყობს მუშათა კლასის გათვითცნობიერების საქმეს.

ბ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 72.

ამიერ კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. ივლისის 31.

კოოპერატივების სამრეწველო გადასახადით დაბეგვრის წესის შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სამრეწველო გადასახადის შესახებ 1923 წ. აპრილის 5-ს დამტკიცებული დებულების მე-14 მუხ. თანახმად, ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. კარდახურული კოოპერატივი, რომელიც მხოლოდ თავის წევრებს აწვდის საქონელს, გადაიხდის: ძირითადი სამრეწველო გადასახადის 50 პროც. და დამატებითი სამრეწველო გადასახადის (საპროცენტო გამოსაღები) 75 პროც.—გადასახადის იმ რაოდენობისას, რასაც განსაზღვრავს საგადასახადო კომისია.

2. ყველა დანარჩენი მომხმარებელი კოოპერატიული შენაერთი, რომელიც შედის ცენტრალური კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო განყოფილების შედგენილობაში, როგორც პირვანდელი, ისე შემდეგი მოწყობილი, გადაიხდის: ძირითადი სამრეწველო გადასახადის 75 პროც. და დამატებითი გადასახადის (საპროცენტო) 87 ნახ. პროც. გადასახადის იმ რაოდენობისას, რასაც განსაზღვრავს საგადასახადო კომისია.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის ამა წლის იანვრის 1 დან.

ამიერ-კავკასიის სოც ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭ. თავმჯდ მარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა თანამდ. დროებ. აღმ. მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა მდივნის თანამდ. დროებ. აღმასრულებელი **ხ. ლეკიშვილი.**

ცირკულიარული.

განმარტება.

რადგანაც ადგილობრივ ეჭვს იწვევს ხოლმე ის გარემოება, თუ როგორ უნდა იქნეს განსაზღვრული ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტებისა და რესპუბლიკანური სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომიტეტების უფლებანი თეატრების, კინოების და სხვა გასართობთა ბილეთებზე გადასახადის დადების საქმეში—საკანონმდებლო კომისია ამით განმარტავს:

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ამა 1923 წლის აპრილის 2-ს თარიღის დეკრეტით ადგილობრივ,—აღმასრულებელი კომიტეტების სასარგებლოდ,—შემოსავალს, სხვათა შორის, მიეკუთვნება საჯარო სანახაობათა და გასართობთა გადასახადი, რაიც გადახდევინებულ უნდა იქნეს ამა გადასახადის შესახებ არსებული დებულების თანახმად (კარი მე-II-ე განყოფ. მე-III-ე, მუხ. 15).

დებულება ესე დამტკიცებული და ძალაში შესულია ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ამა 1923 წლის ივნისის 25 ს თარიღის დადგენილებით, რომლის თანახმად ყველა საჯარო სანახაობა და გასართობი ჩამოთვლილია ექვს ჯგუფად გადასახადის უკიდურესი პროცენტული ნორმის აღნიშვნით თვითეული ჯგუფისათვის ცალკე (5-დან 100 პროცენტებამდე); ამასთანავე ეს გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს ფასიანი შესასვლელი ბილეთების დამატებათ (მუხ. 1, 2 და 4).

ამისაგან დამოუკიდებლად და ამ გადასახადის პარალელურად ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. აპრილის 23-ს თარიღის დეკრეტით დაწესებულია, დროებით 1923 წლისათვის, სპეციალური გადასახადი თეატრებისა, კინოებისა და სხვა გასართობთა შესასვლელ ბილეთებზე ამ უკანასკნელის ღირებულების 5-დან 10 პროც.-დე რესპუბლიკანური სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომიტეტების სასარგებლოდ.

იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ გადასახადი ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების სასარგებლოდ და გამოსაღები სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომიტეტის სასარგებლოდ დაწესებულია დამოუკიდებელი საკანონმდებლო აქტებით, რომელნიც გაუქმებულნი არ არიან და დღემდე მოქმედებენ, საკანონმდებლო კომისია განმარტავს:

ფასიანი შესასვლელი ბილეთები თეატრებისა და ყველა სხვა გასართობისა, რაც ჩამოთვლილია ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. აპრილის 23-ს თარიღის დეკრეტის მე-2 მუხლში, დაიბეგრება გადასახადით ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების სასარგებლოდ და გამოსაღებით სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომიტეტების სასარგებლოდ ერთსა და იმავე დროს და ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად, იმ რაოდენობით, რაც განსაზღვრულია თვითეული მათგანისათვის (ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი ივლისის 25 ს თარიღითა და აპრილის 23-ს თარიღით); ამასთანავე როგორც გადასახადი, ისე გამოსაღები დაედება აღნიშნული ფასიანი შესასვლელი ბილეთების ნომინალურ ღირებულებას.

საკანონმდებლო კომისიის წევრი-პასუხისმგებელი მდივ. **ა. შავერდოვი.**

10 აგვისტოს 1923 წ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 საუბნო კომიტეტი საყვედურს უცხადებს, პირად საქმეში შეტანით, ამხ. გრიგოლ დოლიძეს უჯრედის კრებაზე სისტემატიურად დაუსწრებლობის გამო და წინადადებას აძლევს გამოცხადდეს საუბნო კომიტეტში.

მე—4 საუბნო კომიტეტის მდივნის მაგიერ არუსტანოვი.

— გაერთიანებული კრება საქართველოს კომუნისტური პარტიის უჯრედებისა და კომ. ახალ. კავშ. უმაღლეს სასწავლებლების ყველა ბიუროებისა, რომელიც ვერ შესდგა შაბათს, აგვისტოს 10-ს, გაიმართება ორშაბათს 13 აგვისტოს საღამოს 5 საათზე ტფილისის კომიტეტის ბინაზე.

ყველა წევრები ცენტრალურ ბიუროსი, უჯრედების ბიუროსი, [illegible] ახალ. კავ. ცენტრალურ კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგენი ვალდებულნი არიან, პარტიული დისციპლინის წესით, დაესწრონ კრებას.

მოწვეული არიან ამხანაგები: კვირიკაძე, კანდელაკი, [illegible] გერასიმოვი და ეზიაშვილი.

დღის წესრიგი იგივეა.

თბილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

— კომპარტიის ცენტრ. კომიტ. სააღრიც. სასტ. ქვე-განყოფილება გაუწყებთ რათა გამოცხადდეთ ორი კვირის განმავლობაში შემდეგი ამხანაგები:

1) ანასტასია ვლადიმერის ასული მესხი. 2) აგრაფინა ალექსანდრ. ასული ჭავჭანინიძე-მხეიძე. 3) ისიდორე სილოვანის ძე თალაკვაძე. 4) ალექსანდრე ლუარსაბის ძე ფურცელაძე. 5) ნატალია იოსელიანი. 6) ალექსანდრა ლასას ას. დარახველიძე. 7) ნინა გრიგოლის ას. დიდიძე. 8) ნინა გიორგის ას. მგელაძე 9) სიმონ კონსტანტინეს ძე ბახტაძე. 10) შალვა ნესტორის ძე ოდელავაძე. 11) ერიკა ალექსანდრეს ძე საყვარელიძე. 12 გიორგი გიორგის ძე საყვარელიძე. 13) კორნელ ბახტაძე. 14) შუშანიკა გალდავა განათ. კომისარ. თანამშრ.

ც. კ-ის საადრიც. სასტატ ქვე განყ. მდივანი ტორჩინავა.

— რ. ს. ს. ფ. რესპუბლიკის სამხედრო სასწავლებლებში მიმავალ საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სტიპენდიანტ სტუდენტების საყურადღებოდ:

წინადადება ეძლევა ყველა სტუდენტს სტიპენდიანტს გამოცხადდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში 19 აგვისტოს, ნაშუადღევის 2 საათ. საზოგადო კრებაზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფ. კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 საუბნო კომიტეტი იუწყება, რომ ქვემოხსენებულმა ამხანაგებმა საუბნო კომიტეტში განცხადებები შემოიტანეს, რომ კომუნისტურ პარტიაში ჩაწერა სურთ. მე-2 საუბნო კომიტეტი სთხოვს ამხანაგებს და იმ პირთ, ვისაც რაიმე საწინააღმდეგო აქვს ქვემოჩამოთვლილ პირთა წინააღმდეგ, 15 აგვისტომდე მიაწოდონ მასალები საუბნო კომიტეტს (პლეხანოვის პროსპექტი № 95).

1. ეგოროვი კონსტანტინე ანდრიას ძე—მუშა საბჭოთა ქარხნისა; 2. პანუნკო გიორგი სერგოს ძე—მუშა ტრანსპ. ცენტრალგანყოფ. გარაჟისა; 3. სარქისოვი მანუკ გრიგოლის ძე—მუშა 1-ლ ავტო-სახელოსნოსი; 4. ხაჩატუროვი სურენ მანუკას ძე—მუშა საბჭ. მე-8 ელექტ. სადგური; 5. იუგაი ალექსანდრე ვასილის ძე—ინტელიგენტი ქართ. არმ. ავტო-ნაწილ.; 6. ოჰანესიანი აშხენ ვასილის ასული—მუშა ქალი „კამო"-ს სახ. თამბაქოს ქარხ.; 7. მირზოევი არშაკ წყალობას ძე—არსენალის მუშა: 8. მანუკიანცი სედრაკ ავდამის ძე; 9. დობროვსკი სტანისლავ ადამის ძე—არსენალის მუშა; 10. ვალტერი გიორგი თევდორეს ძე—ინჟ. ს. ს. ს. რ. სამხ. კომისარ. ავტო-ნაწილისა; 11. ბერიძე ალექსანდრე მაქსიმეს ძე—მილიციის მოსამსახურე; 12. ბერეჟნოვი მიხეილი რისას ძე—მელითონ. კავშ. და საბჭოთა სახლების გამგე; 13. ბეგაშვილი ალექსანდრე აბრამის ძე—არსენალის შავი მუშა; 14. ბალდასაროვი გერასიმე კარაპეტას ძე—მეკოლოფე 1 სახელმწიფო კოლოფების ქარხნისა „ინტერნაციონალ"-ი; 15. გოგოლაძე ვას. სერ.—მოწაფე საყოველთაო განათლების კურსებისა; 16. დოშოიანი ვართან მარქარას ძე—„კამო"-ს ქარხნის მუშა; 17. ბუიძე ალექსანდრე სვიმონის ძე—მუშა, ქალაქის წყალსადენი; 18. ხორჩილაძე გიგო ზაქარიას ძე—ქალ. წყალსად. მუშა; 19 ეშანცი სარქის ავეტისას ძე—ქალ. წყალსად. მუშა; 20. თვარაძე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე—სახელმწიფო კოლოფის ქარხნ. მუშა; 21. ხაჩატუროვი ხორენ ვასილის ძე—მუშა სამკერვ. ქარხ; 22. ცქიტიშვილი ალექსანდრე თომას ძე—ინტელ. მე-9 კომისარიატის უმცროსი თანამშრომელი; 23. რადიონოვი ივანე სვიმონის ძე—მუშა თამბ. ქარხნ. „პროლეტარი".

მდივნის მაგიერ ნაზაროვი.

განცხადებები

13 აგვისტოს ტფილისის საქონლის საფონდო ბირჟის

საბირჟო კრებები

მოხდება:

საფონდო განყოფილებისა: შუადღის 12—1½ საათამდე.

საქონლის განყოფილებისა: 11½—1½ საათამდე.

562—1—1

სამშაბათს, 14 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, აღმასკომის შენობაში

შესდგება

აღმასკომის სხდომა.

დღის წესრიგი: 1) წყალზე სოციალურ დიფერენციალური ტარიფის შემოღების შესახებ; 2) ზაგესკომის და „მამინ სტროის" შორის დადებულ ხელშეკრულების დამტკიცება და ზაგესკომის ფინანსიური მდგომარეობა—მომხსენებელი ამხ. ღლონტი; 3) მიმდინარე საკითხები.

563—2—1 **პრეზიდიუმი.**

უ. ს. ს. სასინჯო პალატა

ამით აცხადებს მოქ. შანშიშვილის საყურადღებოთ, რომ თუ ხუთი დღის განმავლობაში, ამა განცხადების გამოქვეყნებისა, არ დაიხსნა მის მიერ პალატაში სინჯის დასასმელად წარმოდგენილი ვერცხლ-ნარევი ნაწარმოები, იმ შემთხვევაში ნივთები საჯაროდ გაიყიდება.

(კვ. 1066—1—1) სასინჯო პალატის გამგე ა. ნიშნიანიძე.

სახლი

ყველა მომართულობით და თავისუფალი ბინით, ვისაც სურს საჩქაროთ და ხელსაყრელ პირობებში იყიდოს, ან გაყიდოს, მიჰმართოს მამადავითის ქუჩაზე სახლი № 3, ბინა 2, რუსთაველის პროსპექტის გვერდით. დღის 11—2 და საღ. 5—7 საათამდე.

1064—1—1.

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **საბუღალტერიო პრაქტიკული კურსი**
ი. ფ. პალატნიკოვის
პლეხანოვის პრ. № 132.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.
მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.
კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.
0—16

ელექტრონის სინათლის

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ'არსონვალი**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—16)

დავკარგე პირადობის მოწმობა № 1425 და სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების მოწმობა № 233 სამუელ მიხელაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1063—1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა, შრომის ბირჟის წიგნაკი და საალრიცხვო ბარათი სვიმონ ბერიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1065—1—1

დავკარგე ანგარიშის წიგნაკი № 173 მოცემული ელექტ. მოწესრიგ. სამართველოდგან იასონ ფერაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1068—1—1

დავკარგე რედიკული მოწმობებით ანა გაბრიელოვას და გაიკ შორვანიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1069—[illegible]—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა და საალრიცხვო ბარათი ილია მოსეს ძე იოსებაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1062—1—1

ვაცხადებ საყოველთაო ცნობისათვის, რომ **პანაიოტი გიორგის ძე პანაგოპულო** აღარ არის აწ შავი-ქვის მრეწველის **ქრისტეფორე გიორგის ძე მანოლოპულოს** რწმუნებული.

ქრისტეფორე გიორგის ძე მანოლოპულოს რწმუნებული—**ჟორჟ ჰომერი.**

1067—3—1

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, [illegible] შტეინის ქუჩა № 4